საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ერთობა

სამშაბათი, 29 ივნისი 1920 წ.

ფასი 5 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 125 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 5 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 10 მანეთი, მეოთხე გვერდზე 6 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15—2) 200 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება: ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. ტელეფონი 16—62.

№ 144 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 144

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
## ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის № 4, მესამე სართული, შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

შვილები: გაბრიელ აბელის ძე, ნიკოლოზ აბელის ძე და რძალი ირმა ალექსანდრეს ასული მაყაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ თავიანთი მამის ტრაგიკულად სიკვდილს ქ. ბაქოში ბალშევიკების მიერ გენერალ

**აბელ (გალო) გაბრიელის ძე მაყაშვილისას**

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე 29 თიბათვეს სამხედრო სობოროში.

(2079 1—1)

ბედშავი და უბედური ძმა საშა მაყაშვილი: დები: ეკატერინე ყავრიშვილისა, ქეთევანა ავალიშვილისა და თებრონია ნაცვლიშვილისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულად მოკლულს ბალშევიკების მიერ ქ. ბაქოში ძმის გენერალ

**აბელი (გალო) მაყაშვილისას**

პანაშვიდი საღამოს 6 საათზე 29 ივნისს, სამხედრო სობოროში.

(20 79 1—1)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

1) პარკის და აბრეშუმის შესყიდვის უფლება აქვთ იმ საერობო ორგანიზაციებს, კოოპერატივებს და კერძო პირთ, რომელთაც ეს დავალებული ექნებათ სამინისტროდან. 2) როგორც აღნიშნული ორგანიზაციები ისე კერძო შემსყიდველები ვალდებულნი არიან შეთანხმებულათ იმოქმედონ პარკის ოპერაციის საქმეებით. 3) მეაბრეშუმეს ფუთ პარკში პირველ ხარისხისაში ნედლში მიეცემა 3000 მ. მეორე ხარისხის პარკში—2800 მ. 4) პარკის მიმღებთ ევალებათ იქონიონ მთავარ რწმუნებულის პირადი კვიტანცია მიღებულ პარკის და ფულის რაოდენობის აღნიშვნით. 5) მეაბრეშუმენი ვალდებულნი არიან შეინახონ კვიტანციები, თორემ მთავრობის მიერ დადგენილ მოგების ნაწილს ვერ მიიღებენ. 6) იმ ორგანიზაციებს და კერძო პირთ, რომელთაც სამინისტროსაგან არ აქვთ დავალებული პარკის შესყიდვა, სასტიკათ ეკრძალებათ ბაზარზე მყიდველებათ გამოსვლა და პარკის ყიდვა, ვინაიდან პარკზე მონოპოლია არის გამოცხადებული. 7) ამ დადგენილების მე-6 მუხლის დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემული სისხლის სამართლის წესით, ხოლო შესყიდული პარკი კი ჩამოერთმევათ უფასოთ. მიწათმოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.** მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.** მთავარი რწმუნებული **ს. ქუთათელაძე.** (ნ. 15—11)

## სიღნაღის სამაზრო ერობა
ამით აცხადებს, რომ 28 თიბათვიდან გაიხსნება
## ახტალის საავადმყოფო
საავადმყოფოში მუშაობენ 2 ექიმი და ფერშლები. საექიმო მოვლა უფასოა. ფასი გამთბარი ვანისა 150 მანეთი, ბუნებრივი ვანისა 30 მანეთი. ოთახი ორი საწოლით 100 მანეთი დღეში. საავადმყოფოსთან გამართულია ბუფეტი, სეზონი გაგრძელდება 20 სექტემბრამდე.

გამგეობა. (2068 2—2)

## არტისტიული საზოგადოების თეატრი
## დრამა „ტარტო“
ოთხშაბათს, 30 ივნისს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სასარგებლოდ გაიმართება წარმოდგენა ცნობილი არტისტი ქალის
## ე. ტ. ჟიხარევის მონაწილეობით
## ელექტრა
ტრაგედია ჰოფმან სტალისა.
## 2) დიონისეს დღესასწაული
ხორეოგრაფიული სურათი პრიმა ბალერინა **ბაუერზაქსის** მონაწილეობით ხელმძღვანელობს **ვაკარეცი.** დასაწყისი საღ. $8^1/_2$ საათზე. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში, და „კაფე დარბაზში“. (ნ. 2—1)

## საზაფხულო კლუბი და ბაღი

## „მერცხალი“
პლეხანოვის პროსპ.. (მიხაილ.), 65.

ვისაც სურს სიამოვნებით და ხელსაყრელ ფასებში; კარგი, ახალი სურსათი და მასალისაგან მომზადებული—**ევროპიული და კავკასიური** სადილი მიირთვას, გამოეშურეთ კლუბი **„მერცხალი“**-ს ბაღისკენ. ხის ქვეშ გაშლილი მაგიდა, სხვადასხვა სანოვაგეებით სავსე, მუსიკით წინ მოგეგებებათ.

2—5 საათამდის. | სადილი 2 თავი პურით 100 მ. — 3 თავი პურით 120 მ.

ყველა სადილის მსურველთ, რომ თავის დროზე დაკმაყოფილდეს, შეუძლია კლუბის ბუფეტის გამგესთან ადრე ჩაეწეროს. საჭმელები მზადდება ქალაქში ცნობილ მზარეული ალექსოს ზედამხედველობით. (2076—2—1)

## საზაფხულო კლუბი და ბაღი „მერცხალი“
პლეხანოვის (მიხ.) პროსპ., № 65.
## პირველად!—პირველად!—პირველად!
ხუთშაბათს, 1 ივლისს კლუბი „მერცხალის“ საზაფხულო ბაღში გამართული იქნება ბავშვებისთვის გასართობი
## დიდი საღამო
ბავშვების გასართობი საღამო გაიმართება ცნობილი ს. დ. სიმკოვიჩის ხელმძღვანელობით.

გეგმა: კარნავალი, ბალეტი, სიმღერა, დეკლამაცია, დივერტისმენტი და სხვ. **პირველად!—პირველად! თფილისში**—8 საათიდან **საცეკვაო საღამო.** დასაწყისი ბავშვების 5—8 საათიდან. დიდების 8—11-მდის.

მამასახლისთა საბჭო.

თუ ავდარი იქნა საღამო გადაიდება შაბათისთვის 3 ივლისს. (2077—2—1)

## გაიხსნულია ბაღი-რესტორანი
# ეთერი
ქსენიას ქუჩა № 3.

ყოველ დღე საუკეთესო სადილები 2 - 5 საათამდე, მუსიკა, ღია სცენა კაბარე განსაკუთრებული პროგრამით. ღებულობენ მონაწილეობას საუკეთესო ძალები: ოპერის და ოპერეტკის მსახიობნი ქალები და კაცები. დაწვრილებით აფიშებში.

(2080 2—1) **დირექცია.**

მეტად გრილი
## კინემო
# მინიონი
27, 28, 29, და 30 ივნისს

## პირველათ თფილისში მხოლოდ ჩვენს თეატრში
## კონან დოილის რომანით
ახალ ახალი თავგადასავალი ცნობილი ჯაშუშის
## შერლოკ ხოლმსისა
სურათში
## „თეთრი ფურცელი ქაღალდის საიდუმლოებანი“
დედექტიური დრამა 4 აქტათ. (2064—1—1)

## პროგრამის გარეშე
გადაღებულია ნატურიდან **ცეკავშირის** მიერ **გ. ი. გოგიტიძის** ხელმძღვანელობით
## აზერბეიჯანის ფრონტი
სურათი 2 ნაწილათ, მდიდარი მრავალი მომენტებით, რომლებიც ნათლათ ახასიათებენ **საყვარელ სამშობლოს მცველებს საქართველოს მამაც ჯარს და სახალხო გვარდიას.**

**ფოილის, წითელი და სადახლოს ხიდზე და სხვ.**

## მ. ს. მუშათა მაგიდის განცხადება.

ყველა მუშა და მოსამსახურეები, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით, მიიღებენ ამა წლის 1-ლ ივლისიდან: შაქარს, ჩაის და ასანათს ამ ნორმით: სულზე 2 გირვანქა შაქარს 17 მანეთად გირ., ჩაი $^1/_4$ გირვანქას სულზე 100 მ. გირ. და ასანათი 1 კოლოფი სულზე—1 მ. 50 კ. ცალი.

ზემოაღნიშნულ სურსათს მიიღებენ იმავე წესით, რა წესითაც იღებენ პურს შეერთებულ ჯგუფებით. ჯგუფების რწმუნებულნი ვალდებულნი არიან შეიტანონ მთელი ჯგუფის ფული მუშათა მაგიდის სალაროში და ორდერის მიღების შემდეგ მიმართონ ოფიცერთა ეკონომიურ მთავარ მაღაზიაში კიროჩნის ქუჩაზე.

მუშათა მაგიდის სალარო ღიაა ამ ორდერების შესაძენათ ყოველ დღე 9—1 საათამდე, ხოლო საზოგადოების მაღაზია ღიაა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მუშებსა და მოსამსახურეებს წინადადება ეძლევათ დაჩქარებით შეიტანონ ფული, რადგანაც სურსათის ძლევა შესწყდება 15 ივლისს.

**შრომის სამინისტრო.** (ნ.—5—1)

## განცხადება
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის ყოველ თვიური სამეცნიერო, სალიტერ. და საპოლ. ჟურ.
## „მომავალი“-ს
სარედაქციო კოლეგია ამით აცხადებს, რომ საზაფხულო არდადეგების გამო ჟურნალის მორიგი ნომერი გამოვა ივლისის ბოლო რიცხვებში. მასალების მოწოდება შეიძლება 20 ივლ. მისამართი კანტორა „განათლებაში“, ოლღის ქუჩა № 6.

(2085—2—1)

## კინო-თეატრი ალკაზარ — ყოველივე თქვენთვის!
ამიტომ თქვენ შეგიძლიათ დღეს ნახოთ ეკრანზე: **ლისენკო, კარაბანოვისა, რიმსკი, პანოვი, ბაშკეევი** და მრავალი სხვა
## ყვავის ბუდე
დრამა 5 ნაწილად. რუსის მემამულეთა ცხოვრებიდან. (2082 1—1)

ექიმი
## ნიკოლოზ სიმ.-ძე ხეჩინოვი
იღებს საზებიო, ქალურ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2 ს. და საღ. 5—7 ს. ბელინსკის ქ. სახ. № 21, ბინა 2. ტელეფ. 11—74.

2048—თ.

მედიცინის დოქტორი
## ა. ა. მონსე
**საზაფხულოთ წავიდა წაღვერში, ბორჯომის ახლო. აგარაკი მიხაილოვისა.** მიღება ავადმყოფებისა: დილით 8—12 საათამდე კვირაობით, . სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

(1989—10—4)

## ბათომი გვიბრუნდება!

სარწმუნო წყაროებიდან ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბათომი და მისი ოლქი მოკლე ხანში საქართველოს რესპუბლიკას დაუბრუნდება.

მთელი ამ ორი წლის განმავლობაში, მიუხედავათ აუარებელ ფრონტებისა, შინაურ მდგომარეობის გართულებისა და უთვალავი საჭირ-ბოროტო კითხვებისა, საქართველოს დემოკრატიის განცდაში იყო ერთი შავი წერტილი, რომელიც მას გულს უღრღნიდა და მის მრავალ გამარჯვებას შავ დაღს ასვამდა. ეს იყო ბათუმის საკითხი. დღიდან მის დაკარგვისა, საქართველოს დემოკრატიას მტკიცედ და შეურყევლად ჰქონდა გადაწყვეტილი მისი დაბრუნება, თავის კულტურის, ამ პოლიტიკური აკვანის შემოერთება. დღეს საქართველო ამ მიზანს აღწევს. მისი გამარჯვება სრულია. ბათომი და მისი ოლქი გადადის ნამდვილი პატრონის ხელში. ჩვენს დემოკრატიას შეუძლიან იამაყოს თავისი სურვილის განხორციელებით. მიუხედავათ ჩვენი მტრების ფარული და აშკარა მუშაობის, საქართველოს რესპუბლიკისადმი სიმპატიე დიდია ბათომის ოლქში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის უცხო ელემენტები, რომელთაც შეცდომაში შეჰყავთ ადგილობრივი მცხოვრებლები, უსიტყვოდ დაემორჩილებიან ყველა სახელმწიფოების გადაწყვეტილებას, რომ ბათომი და მისი ოლქი საქართველოს გადაეცეს. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ისინი შესაფერ ანგარიშს გაუწევენ მთელი ქართველი ერის მტკიცე სურვილს, რომ დამყარდეს ქალაქში და ოლქში დემოკრატიული წესრიგი და მიეცეს ადგილობრივ მცხოვრებთ სრული გარანტია ნორმალური განვითარებისთვის. ამას მოითხოვს დღევანდელ პირობებში მათი სწორად გაგებული სასიცოცხლო ინტერესები.

ანარქიული ელემენტების წყალობით საქართველოს დროებით მოშორდა მისი თვალი და კულტურულ განვითარების აკვანი. დარაზმულ და შეკავშირებული საქართველოს დემოკრატია დღეს უკან იბრუნებს ბათუმს.

დღეიდან გზა ევროპისკენ სამუდამოთ გახსნილია. ჩვენი დემოკრატია სავსებით ისარგებლებს ამ გზით თავისი სოციალურ-ეკონომიური და კულტურული განვითარებისთვის.

## პარტიული ყრილობა
II

ომმა და რევოლუციამ ძირიანათ შეარყია ეკონომიური ცხოვრება. ქვეყნის საწარმოვო ძალები შესუსტდა და დაიქსაქსა. აღდგენა ძველი მდგომარეობის, შექმნა და გამაგრება შერყეული ეკონომიური საფუძვლის, განმტკიცება იმ ბაზის, რომელზედაც დაყრდნობილია მშრომელი კლასის პოლიტიკური ბატონობა, არც ისე ადვილი გამოდგა. პრინციპიკერძო საკუთრებისა ტ გზა ეკონომიური ცხოვრების მსვლელობისა საფუძვლიანათ შეირყა. მისი დაბრუნება და ხელახლა ძველი ფორმით და მეთოდით აღდგენა შეუძლებელი გახდა. საჭირო შეიქნა სხვა გზის, სხვა მეთოდის გამონახვა და აი ყრილობაც შეუდგა მის დამუშავებას.

ყრილობა გამოდიოდა იმ შეხედულებიდან, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიურათ ჯერ კიდევ არ არის მომზადებული მოახდინოს დღესვე სამეურნეო ცხოვრების სოციალიზაცია. ამიტომ ის მიზნათ ისახავს შექმნას პირობები, რომელიც გაადვილებს და დააჩქარებს კაპიტალის ბატონობიდან სოციალისტურ ორგანიზაციაზე გადასვლას, იმ დროს, როცა სოციალიზმის განხორციელება დაიწყება ეკონომიურათ განვითარებულ მოწინავე ქვეყნებში.

ყრილობა არ გაიტაცა ბალშევიკურმა ფანტაზიამ, რომელმაც ჩამორჩენილი და გაევერანებული რუსეთი იცნა და აღიარა სოციალისტური წყობილების ბაზათ, საიდანაც წარმოსდგა ყველა ის მიუტევებელი და დამღუპველი შეცდომები, რომელიც გამეფდა მთელ რუსეთში.

ყრილობას არ სურს და არ უნდა ექსპერიმენტები. ის დგას საზოგადოების განვითარების ნიადაგზე, უგუებს თავის მოქმედებას ამ განვითარებას, მისდევს მას ფეხ და ფეხ, ხელს უწყობს იმ პირობების და ნიადაგის მომზადებას, რომელიც საშუალებას მოგვცემს იმ სოციალურ-ეკონომიურ რეფორმებთა გასატარებლათ, რომელიც გამომდინარეობს მშრომელი კლასის პოლიტიკური ბატონობიდან.

ამ მიზნით სახელმწიფო ერევა წარმოების მოწესრიგებაში, აცხადებს სახელმწიფოს საკუთრებათ მაღულებს, მაღაროებს, რკინის გზებს და სხვ. აფართოებს და აწესებს წარმოების ახალ-ახალ დარგებს, აცხადებს მონოპოლიას მთავარ საექსპლოტაციო საქონელზე და ასე გავლენიან ფაქტორად ხდება მსოფლიო ბაზარზე. ამავე დროს სახელმწიფო იძენს პირველ საჭიროების საგნებს და აწვდის მას მშრომელ ხალხს დაკლებულ ფასებში.

ამ სოციალურ-ეკონომიურ პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლათ არსდება ცენტრალური ეკონომიური საბჭო, რომელიც უხელმძღვანელებს და გააერთიანებს რესპუბლიკის ადგილობრივ მართველობის ორგანოების ტ კოოპერატივთა საალებ-მიმცემო და სამრეწველო საქმიანობას, ხელს შეუწყობს მათ მოქმედებას და დააყენებს სოციალისტურ-ეკონომიურ პოლიტიკის დროშის ქვეშ. საბჭოში მონაწილეობას მიიღებენ თვითმართველობები და კოოპერატივები.

ამ რიგათ დგება ერთი ცენტრალური ეკონომიური საბჭო და გარდა იმ დასახული მიზნისა, რაზედაც ზევით ვილაპარაკეთ, ასეთი ორგანოს დაარსება კიდევ იმითაა მიზანშეწონილი, რომ ის ბოლოს მოუღებს რამდენიმეთ მაინც იმ პარალელიზმს სამეურნეო ცხოვრებაში, რომელიც ახლა არსებობს, და ასე ყველა ერთი დანიშნულების ორგანოებს მისცემს საერთო სახელმძღვანელოს და მით ზედმეტად გახდის როგორც ძალების დაქსაქსვას, ისე უადგილო ქიშპობას და პარალელურ ხარჯებს.

ყრილობა კარგათ გრძნობდა თუ რა დიდი და მძიმე მუშაობაა საჭირო დანგრეული ეკონომიური ცხოვრების აღსადგენათ. ის გრძნობდა, რომ ამ გარდამავალ ხანაში რესპუბლიკა მარტო თავის ძალებით ვერ შესძლებდა დაცემული საწარმოვო ძალების სწრაფად აღდგენას, ამიტომ ის არ გაურბის გამოიყენოს კერძო ინიციატივაც, თუ კი ეს ინიციატივა ემსახურება საწარმოვო ძალთა განვითარებას.

ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოსაწესრიგებლათ, მის გასავითარებლათ და ახალ საფუძველზე ასაგებათ—ყრილობის ამ რეზოლიუციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ჩვენ დარწმუნებული ვართ ასეთი ეკონომიური პოლიტიკა მართლაც მოამზადებს და შექმნის იმ პირობებს, რომელიც სამუდამოთ დაასაფლავებს კაპიტალის ბატონობას და მის ნანგრევებზე ააგებს სოციალიზმის მკვიდრ და მშვენიერ შენობას...

**განი.**

## ბაშკირეთი და ინგლისი
(კომუნისტის საყურადღებოდ).

გაზეთ „კომუნისტს“ მოსწყურებია ჩვენი აზრის გაგება ინტერნაციონალის შესახებ. უკეთ ვსთქვათ, იმას პირადათ მშვენივრად სცოდნია ჩვენი აზრი, დიდი ხანია თურმე რაც მიხვდა, მხოლოდ ცდილობს ეს სხვამაც გაიგოს, რადგანაც ამას ავალებს მოქალაქე კომუნისტებს კაცთ-მოყვარეობა და „უცოდინარ მოძმის“ ღრმა სიყვარული. ჩვენც შევეცდებით დავეხმაროთ მას ამ კეთილ საქმეში და სრული პასუხი გავცეთ მის შეკითხვაზედ. ჩვენის აზრით, დღევანდელ ინტერნაციონალს უნდა ახასიათებდეს ორი ძირითადი თვისება. პირველი: ის უნდა იყოს შემაკავშირებელი და პრაქტიკული ხელმძღვანელი მოწინავე ქვეყნის პროლეტარიატის. მეორე: მან დღის წეს-რიგში უნდა შეიტანოს კითხვა მუშათა კლასის მიერ მართვა-გამგეობის ხელში აღების და იმ განსაკუთრებული გეგმის შესახებ, რომელსაც მოითხოვს სოციალური გარდაქმნა. მეორე დებულება მოითხოვს ინტერნაციონალის შემადგენელი სექციების მხრივ ყოველ პირობებში კოალიციის პრინციპის უარყოფას და სახელმწიფოს მართვა-გამგეობისთვის, მისი გარდაქმნისთვის საკუთარი გზით სიარულს.

„კომუნისტმა“, რასაკვირველია, დიდი ხანია შეითვისა ის აზრი, რომ ყოფილ რუსეთის და აზიის ტერიტორიაზედ აღმოცენდა ახალი ინტერნაციონალი, რომლის წიაღში მოთავსებულია აუარებელი სექციები, პროლეტარიატის მედროშე და მეცნიერული სოციალიზმით განსწავლული და გაცლენთილი. ჩვენ ასეთი აზრი მიგვაჩნია უდიდეს და სოციალიზმისთვის დამღუპველ ილლიუზიათ. შეიძლება, წითელ დროშის გამოყენებას აზიაში ჰქონდეს თავისი შესაფერი მიზეზები, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის. და ყოველივე ინტერნაციონალური შეერთება, რომელიც თავის გარეშე სტოვებს ევროპის შეკავშირებულ მუშების დიდ უმრავლესობას, არის არა საკადრისი თამაში ინტერნაციონალის სახელით. ჩვენ ვიცით, რომ მოქალაქე კომუნისტისთვის არაფერი მნიშვნელობა არა აქვს ევროპის ცნობილ მარქსისტების აზრს, მათი ავტორიტეტი ევროპაში არის დეკადენტი გილბო. საბედნიეროდ ასე არ არის ჩვენი ამხანაგებისთვის. ევროპის მარქსისტები **სრულიად სამართლიანად ამბობენ,** რომ დღევანდელ პირობებში განსაკუთრებით ინგლისი შეიძლება იყოს ღირსი სერიოზული ეკონომიური რევოლიუციის. ეს ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც არ არის გლეხობა და მიწათ მფლობელობა რამოდენიმე კაცის ხელშია მოგროვილი. ამ ქვეყანაში **კაპიტალისტური ფორმა,** ესე იგი გაერთიანება შრომის ფართო მასშტაბით კაპიტალისტურ მწარმოებლების ხელმძღვანელობით, თითქმის მთელ მეურნეობას მოედო. ეს ისეთი ქვეყანაა, სადაც **უდიდესი ნაწილი მცხოვრებლების დაქირავებულ მუშებს** წარმოადგენს. იქ კლასთა ბრძოლამ და მუშების ორგანიზაციამ, **ტრედ-უნიონების საშუალებით,** მიაღწია ერთგვარ სიმწვავეს. რადგანაც ინგლისი ბატონობს მსოფლიო ბაზარზე, ყოველივე გადატრიალება ეკონომიურ დამოკიდებულებაში იქ პირდაპირ გავლენას მოახდენს მთელს მსოფლიოზე. თუ ინგლისი კლასიკური ქვეყანაა დიენდლორდიზმის და კაპიტალიზმის, იქ მატერიალური პირობები მათი მოსპობისთვის უფრო განვითარებულია, ვიდრე სხვაგან.

ასე მსჯელობენ კომუნისტების ფიქრით რენეგატები, ხოლო ჩვენის აზრით მეცნიერული სოციალიზმის ნამდვილი წარმომადგენლები ევროპაში. **დაახლოვებით** ასეთივე მდგომარეობაში იმყოფება ევროპის ზოგიერთი სხვა სახელმწიფოებიც (მაგალ.: გერმანია, ბელგია და სხ.). **დაახლოვებით,** ვამბობთ ჩვენ, რადგანაც ინგლისის ეკონომიკას მაინც და მაინც არ დატყობია ომის შედეგები, ხოლო სხვა ევროპის სახელმწიფოების საწარმოო ძალები შესამჩნევად განადგურდენ.ახლა უმორჩილესად ვსთხოვთ „კომუნისტს“ გვიპასუხოს **პირდაპირ** და არა მიკიბულ-მოკიბულად: **იზიარებს თუ არა ის ჩვენს შეხედულებას** მოწინავე ქვეყნების მუშების როლზე და **განსაკუთრებით ინგლისზე?** თუ არ იზიარებს, მოყვეს ზღაპრებს ბაშკირებზე, კალმიკებზე და მათი კომუნისტურ მოძრაობის სიღრმეზე და კოლექტივისტურ აღმაშენებლობის უნარზე. თუ კი გაიზიარებს ჩვენისთანა „ოპორტიუნისტების“ შეხედულობას, მაშინ კეთილ ინებოს და ამოაშაქროს: როგორი იქნება ისეთი ინტერნაციონალი, სადაც არ შევა ინგლისის თითქმის მთელი შეკავშირებული მუშათა კლასი და გერმანიის მუშების დიდი უმრავლესობა. ჩვენ, თუ არ ეწყინება „კომუნისტს“, სახეში ვერ მივიღებთ საერთო, მსჯელობის დროს ისეთ ელემენტებს, რომლებმაც დიდის ვაივაგლახით, მიუხედავათ მოსკოვის დახმარებისა, ორი დეპუტატი ძლივს გაიყვანა გერმანიის პარლამენტში.

ჩვენ ვლებულობთ იმ დებულებას, რომ ევროპის მუშების წინ ძალა-უფლების ხელში აღების საკითხი დღის წესრიგში დგას. რომ ეს მოხდეს მიზან-შეწონილ პირობებში, საჭიროა მთელი მოწინავე ქვეყნების მუშების (სოციალიზმის ნამდვილი მატარებლების) გაერთიანება ამ წერილის თავში მოყვანილ დებულებების საფუძველზედ. ეს გაერთიანება ისტორიულად აუცილებელია და ის ახლო მომავალში მოხდება. ჩვენი მცირე და სუსტი ძალღონით ამას ხელი უნდა შეუწყოთ.

**ბ. თეკლათელი**

## „წითელ აზერბეიჯანში“

აზერბეიჯანიდან ჩამოსულმა პირმა შემდეგი გვიამბო:

„მე ვიყავი განჯაში იმ დროს, როცა იქ აჯანყება მოხდა, ვიყავი მოწამე იმ ჯოჯოხეთური ამბებისა, რომელიც იქ დატრიალდა. ძნელია აღწერა იმ უბედურებისა, რომელიც თავს დაატყდა განჯელებს. სამი დღე და ღამე განუწყვეტლივ უშენდენ ზარბაზნებს თათრის უბანს. ყველაფერი მიწასთან არის გას-

# დღეს

**დამფუძნებელ კრების სხდომაზე დღეს გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გ. გეგეჭკორი გააკეთებს განცხადებას ბათომსა და მისი ოლქების შესახებ.**

**საფრანგეთის პრესის ცნობით ავსტრიაში კანცლერმა რენნერმა სოციალისტური კაბინეთი შეადგინა.**

---

გენერალური შტაბის ცნობები.
**26 ივნისი.**

**ყველა მიმართულებებზე სიწყნარეა.**

---

წორებული. აუარებელი ხალხი დაიხოცა. დახოცილთა გვამები რამოდენიმე დღე ეყარენ ქუჩაში, მათ დამარხვას ვერ ასწრებდენ. ქალაქში გახრწნილი გვამების საშინელი სუნი იდგა. როდესაც კომუნისტებსა და თათრებს შორის დამოკიდებულება გამწვავდა, ახლო მახლო სოფლებიდან ორი ათასი შეიარაღებული სომეხი მოადგა განჯას. თათრებმა პარლამენტიორი გაუგზავნეს და სთხოვეს საქმეში არ ჩარეულიყვნენ. დავგანებეთ თავი და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არც ერთ სომეხს არას დაუშავებთო. მიუხედავათ ამისა, სომხებმა მაინც მიიღეს მონაწილეობა ამბოხების ჩაქრობაში. აჯანყების დროს ქართველებს და რუსებს არც ერთი მხარე არ ერჩოდა. თუმცა საერთოდ მათი მდგომარეობა ვერ იყო კარგი. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ ადერბეიჯანის ჯარში მოსამსახურე ქართველი აფიცრები, რომელთაც იმ თავითვე უარი განაცხადეს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაზე.

განჯაში, როდესაც იქ ბოლშევიკები მივიდენ, იყო 11—12 აფიცერი, რომელნიც შეიკრიბენ და ფიცი დასდეს არასფერ შემთხვევაში თავის სამშობლოს წინააღმდეგ არ წამოვიდენ და თუ საჭირო შეიქნა, მსხვერპლადაც კი შეეწირონ მას. ეს თავის გადაწყვეტილება შეატყობინეს დივიზიის უფროსს, გენერალ შიხლინსკის, რომელმაც, ნაცვლად იმისა, რომ ანგარიში გაეწია აღნიშნულ გადაწყვეტილებისათვის, ყველა აფიცრები დააპატიმრა. სულ, შიხლინსკის ბრძანებით, 23 აფიცერი დააპატიმრეს და ბაქოში გაგზავნეს, როგორც მძევლები.

როდესაც აფიცრებს ვაგონში სხამდენ, მათთან მიცვივდენ კომუნისტი სალდათები. ყველას ეგონა, რომ მათ დახვრეტავდენ, მაგრამ კომუნისტების— ივანოვის, ნანეიშვილის და ჩხეიძის წყალობით და მათი თავდებობით ისინი ბაქოს ციხიდან გაანთავისუფლეს. ძალიან სასტიკათ ეპყრობიან ყველა იმათ, ვინც ოდესმე ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა. ამ კატეგორიის ხალხს შეუბრალებლად ასამართლებენ და ხვრეტენ. დახვრეტა ხდება ციხის ეზოში.

ქართველები ცოტა არიან დახვრეტილები, ისე კი ხვრეტენ ბევრს. „ჩრეზვიჩაიკები“ მოქმედობენ, რუსები რომ იტყვიან, во всю. მოსპეს ყოველგვარი თავისუფლება. სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, რკინის გზაზე, ერთი სიტყვით, ყველგან რუსებია, ყველგან რუსული ენაა გაბატონებული.

ვინც ჯარში არ არის ჩაწერილი, იმას შიმშილი მოელის, რადგანაც, მოხდენილია ყოველგვარი საქონლის რეკვიზიცია და ამ საქონლით, თუ ის რუსეთში არ არის გაგზავნილი, სარგებლობენ მხოლოდ ისინი, ვინც კომუნისტების ჯარშია ჩაწერილი.

სხვათა შორის მრავალი დაჭრილდახოცილი ჩამოიყვანეს წითელი ხიდის ფრონტიდან. მარტო დაჭრილები 900 კაცამდე იქნებოდა. რა სულელები ყოფილან ეს ქართველებიო. ჩვენ იმათ გასანთავისუფლებლად მოვედით და ისინი კი გაავეთრებული გვებრძვიანო. სანამ არ გაიგეს, რომ ისინი დაამარცხა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიის სასიქადულო შვილებმა, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მათ ებრძოდათ ინგლისელები.

ამ ბრძოლის შესახებ და, საზოგადოთ ყველაფერზე გაზეთებში ყალბ ცნობებს ათავსებენ, როგორც, მაგ. ვალიკო ჯუღელზედ იყო დაწერილი. წითელ ხიდთან ჩვენ ძალიან დავამარცხეთ ქართველებიო, ვალიკო ჯუღელი ეტლით გაიქცა ბრძოლის ველიდანო—იწერა მათ გაზეთებში.

აქვე არ შეიძლება თქვენი ყურადღება არ მივაქციო იმ გარემოებას, რომ, მიუხედავათ ზავისა, ქართველები ვერ ახერხებენ ადერბეიჯანიდან გამოსვლას. ჩვენი წარმომადგენლის ნებართვას შესაფერ ყურადღებას არ აქცევენ. თუ „ჩრეზვიჩაიკამ“ არ მოგცა ნება—ისე წამოსვლას ვერ ეღირსები. იქ, ჩრეზვიჩაიკაში კი ქართველები ვერას ხდებიან. ქართველები მოუთმენლად მოელიან სამშობლოში დაბრუნებას და, თუ ეხლავე არ იქნა შესაფერი ზომები მიღებული, ისედაც ცუდ მდგომარეობაში მყოფნი, უარეს მდგომარეობაში ჩავარდებიან.“

## საბჭოთა რუსეთში

**კავკაველი კომუნისტები საქართველოს შესახებ.**

კავკავის „კომუნისტის“ 18 ივნისის ნომერში მოთავსებულია სტატია „ქართველ სოციალ-შოვინისტების მორიგი პროვოკაცია“, რომელიც დამახასიათებელია კომუნისტებისათვის. საინტერესო ამ სტატიაში არის შემდეგი ბრალდება: საქართველოს ტერიტორიაზედ ირაზმებიან თურმე ძალები, რომლებიც მტრულათ არიან განწყობილნი საბჭოთა რუსეთისადმი. გაზეთი სწერს: „ამბობენ, რომ მინისტრ რამიშვილის მონაწილეობით ხასმამედოვის მიერ იქმნა მოწყობილი განჯის აჯანყება. ბარონ ვრანგელის ოფიციალური წარმომადგენელი პოლკოვნიკი დენი გართულია ოფიცრების კრიმში გაგზავნის საქმეში, ინგლისელები და ფრანგები სრულიათ თავისუფლათ აწყობენ „დამოუკიდებელ“ საქართველოს ტერიტორიაზედ კრიმის დახმარებას. „ინტერნაციონალისტ“ ცალიკოვს მთიელთა მთავრობების რამოდენიმე შემადგენლობებით უკვე სურს მოწყობა მეფობისა მთიელთა რესპუბლიკაში. ამას უნდა დაუმატოთ გაზეთ „კომუნისტის“ დახურვა და ჩვენი ამხანაგების გალახვა.

შემდეგ ავტორი ამბობს:

არა, „ძვირფასო მეგობრებო“, როგორც არ უნდა ეცადოთ, „შუბს ხალათში ვერ დამალავთ“, ყოველდღიურ პროვოკაციით საბჭოთა რუსეთის საშინელებაზედ, გაძლიერებულ კორდონებით, ციხით, პროფესიონალურ კავშირების დაშლით(??) გლეხების გაროზგვით და დამსჯელ ექსპედიციებით თქვენ ვერ დაჰფარავთ საქართველოს მშრომელ მასებიდან საბჭოთა მთავრობის შესახებ ჭეშმარიტებას. მუშები და გლეხები უკვე იწყებენ შეგნებას იმისას, თუ რა უფსკრულში აგდებთ თქვენ მათ. თითქმის ყოველ ადგილას გლეხების აჯანყებები, გაძლიერებული პარტიზანული ომი ლაპარაკობენ საქართველოს გლეხურ-მუშურ მასების სოციალ შოვინისტურ ჯანჯიდან დაწყებულ გამოფხიზლებაზედ.“

ქაღალდი ყველაფერს აიტანს, სიმართლესაც და ზღაპრებსაც, მაგრამ თუ ამ ზომამდი ბოროტად შეიძლებდა სარგებლობა ბეჭვდითი სიტყვით—ძნელი წარმოსადგენი იყო. პასუხი ზემოთ მოყვანილ სიტყვებზედ ზედმეტია ავათმყოფ ფანტაზიით დაჯილდოვებულ ადამიანებისას ვერაფერი ვერ ეპასუხება; ამასთანავე უნდა აღინიშნოს აქ მთელი სისტემა პროვოკაციის, რომლითაც ებრძვიან კომუნისტები საქარ. დემოკრატიას. ალბათ ეს არის „იდეიური“ ბრძოლა სხვანაირი ბრძოლა კომუნისტებს არ ეხერხებათ.

**„შეთანხმება ბურჟუაზიასთან“ როსტოვში.** სასტიკ თვითკრიტიკას მიეცნენ საბჭოთა მთავრობის მუშაკნი როსტოვნახიჩევანის საბჭოს 7 ივნისის სხდომაზედ. მომხსენებელმა რევოლიუციონურ კომიტეტიდან მისმა თავმჯდომარემ სირცოვმა აღნიშნა მძიმე მდგომარეობა მუშაობის თითქმის ყოველ სფეროში, სასურსათო, საბინაო და სხვა გართულებანი.

რამდენიმე სოც.-დემ. ინტერნაციონალისტები უთითებდენ საბჭოთა დაწესებულებების ბიუროკრატიზმზე, მათ მცხოვრებთა მასებიდან დაშორებაზედ, როგორც კომუნისტურ პარტიის დიქტატურის შედეგზე. იმათ შეიტანეს რეზოლიუცია საბჭოთა დაწესებულებების დემოკრატიზაციის მოთხოვნილებით.

მაგრამ თვით კომუნისტები ხედავდენ უბედურების მიზეზს სულ სხვა რამეში, ასე, ვინმე ბალაშევი ამბობს, რომ „აქამდის ვაწარმოებდით ბურჟუაზიის მიმართ მეტათ შემარიგებელ პოლიტიკას. სხვა ორატორების მთელი რიგი აღნიშნავდა რევკომის უმოქმედობას სპეკულიაციასთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლაში, რაც მათი სიტყვებით იწვევს მუშათა მასებში იმედების გაცრუებას.

მომხსენებელი თავის პასუხში აღნიშნავდა, რომ ამგვარ მოვლენას მართლაც აქვს ადგილი. მაგრამ ეს არ არის ავათმყოფობა არა ერთი და ორი „კომისარ მუშაკისა“, არამედ იგი გადაედო მუშათა რამოდენიმე წრეებსაც, რომლებიც ხანდახან იფარავენ ბურჟუაზიას და მასთან კავშირშიაც შედიან. ამგვარად აღმოაჩინა პანამა ტყავის ქარხნებში. პატრონები სარგებლობდენ რა ფაბრიკა-საქარხნო კომიტეტების მხარის დაჭერით, ჰყიდდენ სხვაგან ტყავეულობას. უნდა ვილაპარაკოთ პირდაპირ, ამბობდა ბოლოს სირცოვი—აქ საბჭოთა მთავრობა მეტათ სუსტათ არის მოწყობილი, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ჩვენ თითონ სუსტნი ვართ. რეზოლიუცია საბჭოს არ გამოუტანია, რადგან სირცოვის მოხსენება განხილულ იქნება საბჭოთა საოლქო სიეზდზე.

## წერილები ფრონტიდან

წერილი მეხუთე.

წვიმა ჯერ კიდევ არ გადაეღო, რომ შორიდან ბრძოლის გაცხოველება ისმოდა. ეს ჩვენ მარცხენა კოლონაზე იყო. სროლა ნელ-ნელა ჩვენ კოლონაზედაც ახლდებოდა, უმთავრესათ კახელებისკენ. უცბათ მტერმა ჩვენ ფრონტზედაც ასტეხა გრიგალისებური სროლა, მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ ტყვია ჩვენსკენ არ სისინებდა ჩვეულებრივათ. აშკარა იყო, ჩვენსკენ არ ისროდენ. ჩვენ ყველანი გამოვედით წვიმის საფარიდან და ავედით ქედზე. ჩვენი გვარდიელებიც გაკვირვებით ათვალიერებდენ მტრის ხაზს. იქ მთელი ფრონტი ზეზე წამომდგარიყო, თოფი თვალდასანახავათ უკან შეებრუნებია და აძლევდა იქით „ზალპს“. „სომხები ხომ არ დაეცენ უკანიდან“-ო ამბობდენ ჩვენები. ეს რაღაც სამხედრო ეშმაკობააო,—შენიშნა კარგარეთელმა და დაუმატა: დროს ნუ ვკარგავთ, მოვსცხოთო. ოფიცრებმა მაშინვე გადასცეს ფრონტს ნიშანი და ჩვენმა გვარდიამაც ერთბაშათ მიაყარა სეტყვა თოფებიდან და ტყვიისმფრქვევლებიდან. თათრებმა უმალვე იკადრეს დაწოლა, მაგრამ ეტყობოდა, რომ ძალიან ბევრი წვებოდა არა-ბუნებრივათ. დაწოლისთანავე თოფები ჩვენსკენ მომართეს. ამ დროს ერთი გვარდიელი მოვარდა და ხმა მაღლა გვითხრა, რომ მარჯვენა მხარეზე გვარდია უკან იხევსო. კარგარეთელმა ამბის მომტანი დასტუქსა, მაგრამ წასვლა და სინამდვილის გაგება საჭიროდ დაინახა. ჩვენ წავედით უკან ცხენებისაკენ.

ჯერ კიდევ ათი საჟენი არ ვიქნებოდით გაცილებული სანგრებს, რომ ჩვენი თანამგზავრი ოფიცერი წულეისკირი ქარიშხალისაგან გადატეხილ ალვის ხესავით წაიქცა. მე იქვე ხის ქვეშ მდგარ გვარდიელებს მივაძახე, მიეშველეთ, სანიტარებს დაუძახეთ-თქო და განვაგრძეთ გზა.

ჩვენ დაუზოგავათ გავახტუნეთ ცხენები, მაგრამ ავიარეთ თუ არა ერთი სერი, მაშინვე შევნიშნეთ, რომ მარჯვნივ სულ მაღალი ქედიდან, რომელიც ეჭირა სამტრედიის ბათალიონის ერთ ნაწილს, გვარდია მოსხნილიყო და გამწკრივებული მიდიოდა. თვით მაღლობზე უკვე მტერი იდგა ჯგუფათ და ქართულ ენაზე რაღაცას მოსძახოდა ჩვენებს. მივაჭენეთ ცხენები, მაგრამ ვერავინ ვერ აგვიხსნა საქმე რაში იყო. ცხადი იყო მხოლოდ ერთი, რომ მაღლობის ერთ კუთხეში სამტრედიელებს მტერი ამოპაროდათ და კუთხე მოულოდნელათ ხელთ ეგდოთ. გუნდს მოჩვენებია, რომ მტერმა თავი მოუარა და გზას უჭრის, რის გამო მაღლობი დაუცლია. როგორ ამოეპარა მათ მტერი, ჯერაც გამოურკვეველია, რადგან ქედის იმ კუთხის მცველნი (20 კაცამდე) ტყვეთ დარჩენ. ამბობენ მხოლოდ, რომ მტერი შემოეტყუა სომხებათო, რაც ჰქუასთან ახლო უნდა იყოს.

იმ მომენტში, რასაკვირველია, ჩვენ ამაზე მსჯელობას ვერ გავყვებოდით. საჭირო იყო ახალი პოზიციის, ახალი ხაზის სახელათოთ დაჭერა, რომ მტერს ფრონტი არ გაერღვია. კარგარეთელმა უკვე აღნიშნა ასეთი და ჩვენც ცხენდაცხენ დავრბოდით და ამ ხაზზე ხალხს ვაყენებდით. მტერი მიხვდა ჩვენ მოძრაობის მიზანს და გვაყრიდა ახალი მაღლობიდან ტყვიებს, რომ ხელი შეეშალა, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით ახალი ხაზის გასწვრივ ფრონტის გამართვა, იქ ტყვიის მფრქვეველების დადგმა და პასუხის გაცემა, რითაც მათ თავხედობას საზღვარი დაედო. იქვე მოვიდა საჩქაროთ საშველათ გამოგზავნილი შორაპნის ბათალიონის ერთი გუნდი, რომელმაც ახალი ხაზი შეაერთა დაუშლელ ხაზთან მათ შუა ცარიელ გორაკის დაჭერით. მეორე მხრით ჩვენ დავინახეთ, რომ დაკარგულ მაღლობს მარჯვნით მდგარი ტყვიის ფრქვეველთა საგანგებო გუნდის ერთი მწყობრი და ვერელების ერთი გუნდი ხევს იქით გავიდა და ჩვენი ხაზის სწორი მაღლობი დაიჭირა. ჩვენ უკვე ამოვისუნთქეთ და მდგომარეობა გავითვალისწინეთ. მარცხენა კოლონიდან ისევ დიდი ბრძოლის ხმა ისმოდა. მტერი გააფთრებულ დუელში იყო კახელებთანაც. კახელების მდგომარეობა გაუარესდა იმითაც, რომ მტერს შეეძლო ახალი მაღლობიდან მათთვის გვერდიდან ესროლა. ამის გამო ეჭვი გამოვთქვი მათ მიერ ხაზის დაცვაზე, თუ ჩვენ უკანვე არ ავიღებდით სამტრედიელების მიერ დატოვებულ მაღლობს, რასაც ამავე ღამეს ვერ შევძლებდით (საჭირო იყო მანევრები). კარგარეთელმა ჩემი ეჭვი არ გაიზიარა: ჩქარა დაღამდება და ბრძოლა შეწყდება, ხოლო გათენებისას საქმეს გამოვასწორებთ როგორმეო.

ჩვენ მაშინვე გავინაწილეთ როლები. ბატარეის უფროსი ვასაძე, რომელიც კარგარეთელივით ქვეითა კომანდირათ გავიდა კრიტიკულ მომენტში, ბატარეაზე წავიდა, შარაძე წავიდა ხევს გაღმა გასულ ვერელებთან, მე დამტოვეს ახალ ხაზზე, ხოლო კარგარეთელი წავიდა კახელებისკენ, სადაც ახლოს ტელეფონიც იყო, საიდანაც ხიმშიევს და გენერალსაც უნდა მოლაპარაკებოდა. ცოტა ხნის შემდეგ მე შევნიშნე კახელების ხაზიდან დახევა ნაწილობრივათ. ასევე ხდებოდა მათ და ჩვენ შუა ძველ ხაზზე მდგარ სამტრედიის ერთი გუნდისკენ და მერე შორაპნელებისაკენ. რაშია საქმე? მე იქით გავაქანე ცხენი მაგრამ წინ შემომეგება სამტრედიის ბატალიონის უფროსი და მითხრა, რომ სარდლიდან ბრძანება მოსულა არსებულ ხაზის სულ დატოვების შესახებ და ამას ასრულებენო. უნდა დაგვეხია ჩვენც, მაგრამ ვატყობდით საშიში იყო ასეთ დროს დახევა; ჯერ არ დაღამებულიყო და მტერი ხედავდა ჩვენ მოძრაობას და მას შეეძლო ესარგებლა ამით. ჩემი შიში არ გამართლდა და, როგორც შემდეგში გამოირკვა, არ გამართლდა იმიტომ, რომ მტერი დიდი ზარალის გამო, თურმე დასახევათ ემზადებოდა. მისი ამ საღამოს დაჟინებული აქტივობა და სამხედრო ეშმაკობაც თურმე იმისთვის იყო, რომ დაღამებისათანავე ფრონტი შეუმჩნევლათ მიეტოვებია. ჩვენ მაშინ ეს არ ვიცოდით და ამიტომ საჭირო ზომებს ვიღებდით. მე დაუწინაურდი გვარდიას და როგორც კი ხევის გაღმა ვაკეზე ავედით, ერთი ნაწილი სამტრედიელებისა და გუნდი ყვირილისა გავაწყვეთ და აუტეხეთ სროლა მტერს, ხოლო დანარჩენი გაუშვით. შარაძემ ჩამოიყვანა მარჯვნიდან ვერელები იმავე ველზე და მწკრივათ გაემართა უკან, რომ ჩვენ სწორი ხაზი დაგვეჭირა. ამავე დროს შოროპნელების ორ გუნდს ეჭირა უკანასკნელი მაღლობი ჩვენს გაღმა და ცეცხლს ანთებდა მტრისკენ ყველა მაღლობებზე. მხოლოდ კარგათ დაღამების შემდეგ, როცა დარწმუნებით შეიძლებოდა იმის თქმა, რომ ჯარი ახალ პოზიციებს უკვე დაიჭერდა, მოიხსნა ესენი. უბედურება იმაში იყო მხოლოდ, რომ ჩვენ არ ვიცოდით სად დანიშნა სარდალმა ეს ახალი პოზიციები და არც მოდიოდა არავინ ამის სათქმელათ: არ იცოდა ეს არც წასულმა ჯარმა და თურმე არც მათ შეხვედროდა ვინმე წინ ამის მთქმელი. მოხდა გაუგებრობა: თურმე ყველა ეს ტელეფონით უთხრეს კარგარეთელს, ხოლო მან სიტყვიერათ გადასცა ბოლქვაძეს სამტრედიის ბატალიონის უფროსს, რომელმაც ის ამბავი მოიტანა, რომ უნდა დავიხიოთო, ხოლო სად და რომელ ადგილზეო, ეს კი დაავიწყდა. ამის გამო ჯარს უცლია შიხლოვამდე და თვით წითელ ხიდამდე.

მე შტაბის „ვესტავოის“ თანხლებით ასლანბეგლში ჩაუხვიე, რომ შტაბში მაინც გამეგო რამე, მაგრამ შტაბი უკვე მოეხსნათ. დავუყევი ქვეითი, რადგანაც ხმა ისმოდა და წავაწყდი ღამეში კარგარეთელს, რომელსაც თავისი ცხენი დაჭრილისთვის მიეცა და ფეხით მოდიოდა. მისგან გავიგე ახალი პოზიციები და ამის მიხედვით დაუწყეთ ძებნა ხაზსა და შტაბის ახალ ბინას; მაგრამ ვერაფერი ვერ ვნახეთ. პირიქით, გზა დავკარგეთ მინდორში და არ ვიცოდით საით მივდიოდით. იძულებული ვიყავით უკან დავბრუნებულიყავით და მდინარის მიმდინარეობაზე აგვეღო მიმართულება (კომპასი ზედ არ დაგვირჩა), შემდეგ წამოვედით დასავლეთისკენ. გზაში შარაძე და თუთბერიძე შეგვხდა ტრამვაიელების გუნდით, რომელთაც ასევე გზა დაბნეოდათ ბნელაში და აღმოსავლეთისკენ მიდიოდენ. გამოვაბრუნეთ, წამოვედით და ცოტა სიარულის შემდეგ წავაწყდით შიხლოსკენ მიმავალ გზას..

უკვე მზე საკმაოთ მცხუნვარე იყო, როცა წითელ ხიდს მოუახლოვდით. გზაში ლადო შემოგვეგება და გავიგეთ, რომ ალექსანდრე ორი გუნდით ჯერ კიდევ არ მოსულიყო და ყველა ჩვენზე სწუხდენ. ის და ვალიკო ამ დილას ჩამოსულიყვენ თფილისიდან და ეხლა იმის ცდაში იყვნენ ახალი პოზიციები ჩქარა დაეჭირათ, რომ მტერს არ ესარგებლა.

იქვე შიხლოს მაღლობზე ჯიჯიხია აწყობდა კახელებს, ხოლო მე გავყევი შორაპნელებს ბაბაკიარზე. დაზვერვის შემდეგ გვარდიამ დაიკავა კაკილიც და მის წინ მდებარე მაღლობებიც. მოვიდა რეზერვიც და ახალი ძალებით დავიკავეთ კაიმახლუს მაღლობებიც. ამასობაში დავისვენეთ კიდეც, მივიღეთ პატრონები და ყუმბარებიც და ის იყო საბოლოო შეტევაზე უნდა გადავსულიყავით, რომ მტერი სავსებით გაგვენადგურებია, მაგრამ მან მოითხოვა ზავი და თფილისმაც გადმოგვცა სროლა შეგვეწყვიტა...

**ზ. დათიაშვილი.**

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

28 ივნისი.

**ფრანგული ცნობები.**

**ხალხთა ლიგის სხდომა.**

ესპანეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იტყობინება, რომ ხალხთა ლიგის უახლოესი სხდომა შესდგება ივლისის მეორე ნახევარში სენ-სებასიანში.

**აღმოსავლეთის საკითხი დეპუტატთა პალატაში.**

დეპუტატთა პალატაში განაგრძობენ ბიუჯეტის, გარეშე საქმეთა და აღმოსავლეთის პოლიტიკის განხილვას. ბრიანმა გაახსენა პალატას ის პირობები, რომელშიაც 1916 წლის შეთანხმება იყო დადებული და აღნიშნა მორალური და მატერიალური ზარალი, რომელიც გამოიწვია ამ შეთანხმების მოქმედების შეჩერებამ; მან სთქვა: შეუძლებელია კილიკიის დატოვება ისეთ დროს, როცა ოსმალეთში არის რეპრესიების მიღების სურვილი ქრისტიან მცხოვრებთა წინააღმდეგ. ტრადიე იცავდა საზავო ხელშეკრულებას და მოაგონა პალატას ის შედეგები, რომელსაც კლემანსოს კაბინეტმა მიაღწია.

**კრედიტები აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციებისათვის.**

ნომბერერმა, რომელიც არის მომხსენებელი ბიუჯეტის შესახებ, ითხოვა დადასტურება საჭირო კრედიტებისა, რომელიც საფრანგეთის აღმოსავლეთში სამხედრო ოპერაციების წარმოებისათვის ესაჭიროება.

**ბრიუსელის და სპის კონფერენციები.**

იუწყებიან, რომ ბრიუსელის კონფერენცია შესდგება 2 და 3 ივლისს, სპის კონფერენცია კი იმავე თვის ხუთში.

**გერმანიის კაბინეტის შემადგენლობა.**

ოფიციალური ცნობების თანახმად გერმანიის კაბინეტში შედიან: ფერენბახი—იმპერიის კანცლერი, გეინცე—ვიცე კანცლერი და იუსტიციის მინისტრი, კოხი—შინაგან საქმეთა მინისტრი, ვირტი—ფინანსთა მინისტრი, გერმესი (ცენტრი)—სურსათის მინისტრი, გისბერტსი (ცენტრი) ფოსტის მინისტრი, გრიონერი—ტრანსპორტის მინისტრი, შოლციყოფილი, კასელის ბურგომისტრი—ვაჭრობის მინისტრი, ფონ რაუმერი—სახელმწიფო ხაზინის მინისტრი.

**საბერძნეთის ჯარის მოქმედება.**

ლონდონში საბერძნეთის დელეგაციამ სმირნიდან ოფიციალური ცნობა მიიღო, რომლის თანახმად საბერძნეთის ჯარი აკჰისარში გარს შემოერტყა ოსმალეთის ჯარს, წამოიყვანა ტყვეები და ხელთ იგდო ზარბაზნები.

**საერთაშორისო სავაჭრო პალატა.**

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მუშაობა გრძელდება. დებულებები, რომელიც უნდა განიხილოს კონგრესმა ერთხმად იქნა მიღებული. 1 მუხლის აზრით ახალი ორგანიზაციის არსებითი მიზანია შეამსუბუქოს საქონლის გაცვლა-გამოცვლა ერთა შორის, უზრუნველყოს შეთანხმება ყველა საერთაშორისო საკითხებში, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობას ეხება და ამ გვარად ხელი შეუწყოს პროგრესსა და ზავს. ორგანიზაციის მთავარი ხელმძღვანელი იქნება საერთაშორისო სავაჭრო პალატის დირექციის საბჭო; ის გამოიმუშავებს პროგრამას, რომლის აღსრულებას თვალყურს ადევნებს გენერალური სეკრეტარი; ყოველ ქვეყანაში დაარსდება ეროვნული ბიურო, რომელიც იმოქმედებს დირექციის ხელმძღვანელობით.

**მილიერანის განცხადება.**

დეპუტატთა პალატაში შაბათს, კამათის დროს საფრანგეთის მთავრობის აღმოსავლეთის პოლიტიკის შესახებ მილიერანმა შემდეგი განცხადება გააკეთა: საფრანგეთი უარს ამბობს სირიის დატოვებაზე. ის რჩება იქ ხალხთა ლიგის ხელშეკრულების პრინციპის თანახმად, რათა სირიის ხალხს აღმოუჩინოს ნათხოვნი დახმარება, რომლის იმედი, ქონების უფლებაც, მათ აქვთ. ის იმყოფება იქ არა როგორც ოსმალეთის მტერი, არამედ როგორც თანამშრომელი მის ეკონომიურად განვითარების საქმეში, რომელიც აქამდე არ იყო დაფასებული. ai ცივილიზატორის როლი, რომელსაც საფრანგეთი ასრულებს სირიაში. იცოდეთ, რომ საფრანგეთი ვერ დასტოვებს სირიას ისე, რომ იმავე დროს უარი არ სთქვას თავის განსაზღვრულ ინტერესებზეო.

**ეკონომიური დამოკიდებულება საფრანგეთ-იტალიის შორის.**

იტალია-საფრანგეთის ეკონომიური განვითარების საზოგადოებამ გამოსთქვა სურვილი, რომ ორივე მხარის შორის ეკონომიური შეთანხმება მოხდეს. საფრანგეთმა უნდა შეუმსუბუქოს იტალიას მისწრაფებანი ეკონომიური დამოუკიდებლობისაკენ და უნდა დასთანხმდეს სან-რემოს ახალი შეთანხმების მიხედვით იტალიისათვის გერავლენის ქვანახშირისა და აგრეთვე რკინის მადნების დათმობაზე. საფრანგეთს, რომელსაც ჩრდილოეთ აფრიკაში მრავალი მადანი აქვს, შეეძლო გადაეცა იტალიისათვის უანცის მადნეულობა.

**მუსტაფა-ქემალის ჯარი.**

რეიტერის სააგენტოს ცნობით მუსტაფა ქემალის ჯარი ადანის მიმართულებით მიდის.

**ინგლისის სამხედრო ძალები აღმოსავლეთში.**

„პტი-ჟურნალის“ კონსტანტინოპოლის კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ ინგლისის სამხედრო ფლოტი თავმოყრილია მარმარილოს და შავს ზღვაზე. მოკავშირეთა ჯარის რიცხვი კონსტანტინოპოლსა და მის მიდამოებში 40,000 კაცამდეა.

**სოციალისტური კაბინეთი ავსტრიაში.**

ავსტრიაში კანცლერმა რენნერმა დროებითი სოციალისტური კაბინეტი შეადგინა.

## თფილისის საინფორმაციო ბიუროს ცნობები

28 ივნისი.

**კონსტანტინოპოლი.** საბერძნეთში მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება. ვენიზელოსის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბრძოლამ ცხარე ხასიათი მიიღო. პალატაში ვენიზელოსის მოწინააღმდენი ცოტანი მაგრამ საკმაოთ გავლენიანი და მდიდრები არიან. ისინი არ იშურებენ ღონისძიებას ვენიზელოსის წინააღმდეგ აგიტაციის საწარმოებლად. ვენიზელოსის მომხრე გაზეთები ამბობენ, რომ ოპოზიციის ზურგს უკან სდგანან ყოფილი მეფე კონსტანტინე და გერმანელებიო. სხვა გაზეთები ვენიზელოსის უკმაყოფილებას ხსნიან სმირნის და ფრაკიის დაპყრობით და იმით, რომ არ არსებობს გარანტია ამ ოლქების მომავალ ბედის შესახებო.

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ, რომ ახლო ხანში ირლანდიის ქალაქებში გააძლიერონ გარნიზონი. სინ-ფეინერებთან ბრძოლა ახალ ფაზაში შედის.

**კავკავი.** პიატიგორსკისა და სუნჯის ყაზახები მობილიზაციის შიშით მთებში მიდიან. ადგილობრივმა მთავრობამ წასულთ წინადადება მისცა უკან დაბრუნდენ და შეპირდა მათ, რომ ისინი სტანიცებში იქნებიან დატოვებულნი წესრიგის დასაცავად. ქალაქში იჭერენ პოლონეთის ქვეშევრდომთ. პირველ შეძლებისამებრ დაჭერილებს ციმბირში გააგზავნიან.

**ლონდონი.** ვილსონის მოწინააღმდეგეთა რიცხვი დღითი დღე იზრდება.

**ბაქო.** ჩრეზვიჩაიკის განაჩენით დახვრიტეს გენ. მაყაშვილი. განსვენებული ევროპის ომის დროს უფროსობდა ერთერთ დივიზიას დასავლეთის ფრონტზე. 1918 წლის ოსმალების შემოტევისას მაყაშვილი ახალციხის დაცვის სათავეში იდგა. უკანასკნელ დროს გენერალი ადერბეიჯანის ჯარში მსახურობდა. გადატრიალების შემდეგ ბაქოში მოემწყვდა და დაჭერილ იქნა ჩრეზვიჩაიკის მიერ.

**ინგლისი და რუსეთი.** პარიზის პრესა იუწყება: რუსეთის საქმეების შესახებ. ლონდონში წარმოებულ მოლაპარაკებას საფუძვლად უდევს შემდეგი: 2) ინგლისი აღიარებს საბჭოთა რუსეთის მთავრობას, 2) ეკონომიური დამოკიდებულება ინგლისის და რუსეთის შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლაზე მყარდება. ანგარიშები ერთი მეორის ოქროთი უნდა გაუსწორონ. მთავრობა უარს აცხადებს აზიის საქმეებში ჩარევაზე, 4) საბჭოთა მთავრობამ უნდა აღიაროს დამოუკიდებლობა პოლონეთის, ფინეთისა, ესტონიისა, ლატვიისა, საქართველოსი და სომხეთის, რომელთა უფლებაც უზრუნველყოფილი იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებით, 5, ინგლისი უარს აცხადებს უკრაინის აღიარებასა და მის დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფებაში დახმარებაზე. 6. ინგლისი უარს აცხადებს ვრანგელის დახმარებაზე.

**ინგლისი და რუსეთი.** ინგლისი წინადადებას იძლევა იშუამდგომლოს პოლონეთთან ზავის შეკვრის შესახებ. ლონდონის თათბირში მონაწილეობას იღებს ლოიდ ჯორჯი, ლორდი კერზონი და ბონარ-ლოუ. იმავე პრესის ცნობით ლონდონის მუშები და რადიკალი წრეები თანახმანი არიან ამ პუნქტების მიღებისა. ამ პუნქტებმა საფრანგეთში წინააღმდეგობა გამოიწვია. ჟიულ კამბორმა განაცხადა, რომ საფრანგეთი კატეგორიულად უარყოფს ამ პუნქტებს

## ახალი ამბავი

**დღეს დამფუძნებელ კრების სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრი ე. გ. გეგეჭკორი გააკეთებს განცხადებას ბათომისა და ბათომის ოლქის შესახებ.**

**ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობა.** 25 ივნისს დასრულდა მე-3 ყრილობა რესპუბლიკის ქალაქთა წარმომადგენლების. ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტში არჩეული არიან: ნ. ელიავა, ბ. რუსია, ნ. ფალიაევი, ა. ჯაჯანაშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, დ. კალანდარიშვილი, კ. გოგუა, ს. მდივანი, პ. გოთუა, ბ. ჩხიკვიშვილი, დ. თოფურიძე, ა. ლანდრია, ბადრიაშვილი, ი. ჟორდანია, ი. მურვანიძე, დადუა, ვ. შარაშენიძე, ვ. ღლონტი, კორძაია და ჩხეიძე. სარევიზიო კომისიაში არჩეული არიან: ქ. კახიანი, ა. პაპავა, გ. კონიაშვილი, ხიდირბეგიშვილი, პ. თუმანიშვილი.

**ფოთის ნავთსადგურის მუშებისაგან** რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ფოთის ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშებმა, რიცხვით 500 კაცმა, თავის არა ჩვეულებრივ კრებაზე 26 ივნისს კომუნისტების გამოსვლის გამო გაზეთ „საქართველოს კომუნისტში“, (№ 6), სადაც სწერენ, რომ ფოთის პორტის მუშები 400 კაცის სახელით სალამს უძღვნიან მის ინტერესების დამცველ გაზეთ „საქართველოს კომუნისტს“, დაადგინა: ვუცხადებთ ასეთ უტაქტიკო და მოჰორილ გამოსვლისათვის ჩვენს უღრეს გულის წყრომას! დე, იცოდნენ, რომ მუშათა კლასის სახელით ვაჭრობა ხუმრობა არ არის! ნუ იმალებით, გამობრძანდით, თუ შეგრჩენიათ მოქალაქეობა და სინიდისი, სთქვით, რომელმა 400 კაცმა მოგანდოთ ასეთი საჭორიკანო საქმე, ზიზღი პროვოკატორებს! სალამი ჩვენს განმათვითცნობიერებელ ორგანოებს—„ერთობა“-„ბრძოლას“! კრების თავმჯდომარე კომახიძე.

**პურის დამზადება თფილისისათვის.** მომარაგების სამინისტრომ აუწყა ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებას, რომ თფილისის პურით უზრუნველყოფისათვის მის განკარგულებაში იმყოფება ბორჩალოს მაზრა. სასურსათო განყოფილებამ ამ რაიონში უნდა შეისყიდოს ყოველგვარი ხორბალი, ყველა შესყიდული ხორბალი უნდა გადაეცეს პრ. განყოფილებას. შესყიდვის ოპერაციები სას. განყოფილებამ უნდა მოახდინოს ამ საქმისათვის საგანგებოდ დანიშნულ პირის საშუალებით, რომელიც ერობის, კოოპერატივების და კერძო აგენტების დახმარებით იმუშავებს. შესაძლებელია, რომ შესასყიდათ მოიწვიონ თფილისელი პურის მცხობელები სასურსათო განყოფილების კანტროლის ქვეშ. ბორჩალოს მაზრაში ხორბლის შესყიდვა მონოპოლურად მოხდება. ამასთან ერთად რჩება თავისუფალი კერძო ვაჭრობა. განყოფილებას ევალება ყოველ 2 კვირაში შეატყობინოს სამინისტროს შესყიდვის საქმის მსვლელობა, ნაყიდის რაოდენობა და სხ. ამას გარდა განყოფილებამ ერობის დახმარებით უნდა გამოიანგარიშოს აღნიშნულ რაიონიდან გამოტანილ პურის რაოდენობა.

**ერობის ცხოვრება.** თფ. ერობის თვითმართველობის და თემის წარმომადგენლების თათბირზე განიხილეს საკითხი სკოლის საქმის დაყენებისა და მედიკურ აგრონომიულ და ვეტერინარულ პუნქტების დაარსების შესახებ. გადაწყდა სახალხო განათლების საერთო ხელმძღვანელობა გადაეცეს სამაზრო ერობას, თემს კი ევალება საშუალო საქმის სამეურნეო მხარის გაუმჯობესება. მედიკური, აგრონომიული და ვეტერინალური პუნქტები რჩება სამაზრო ერობის განკარგულებაში, მცხოვრებთა გამოყვანა გზების და არხების შესაკეთებლად და აგრეთვე მასალის მიწოდება ევალება თავის რაიონში თითოეულ თემს, თუ თემს დასჭირდა გზის და არხების გაყვანა, თფილისის ერობის თვითმართველობა მას დაეხმარება ტეხნიკურად. ამავე თათბირზე დაადგინეს თემის საზღვრების გადაშინჯვა.

**რკინის გზელთა უზრუნველყოფა.** მომარაგების სამინისტრომ აუწყა საქარ. რკ. გზის სასურსათო კომიტეტს, რომ მას გადასცეს ხორბლის დასამზადებლად ახალციხის და ახალქალაქის მაზრები. მომარაგების სამინისტრო სასურსათო კომიტეტის აგენტებს ხორბლის შესასყიდად დაუბრკოლებლივ უწევს დახმარებას. მომარაგების სამინისტრო აღნიშნულ რაიონებში ნიშნავს თავის აგენტებს, რომლებიც სასურსათო კომიტეტის შემყიდველებს აწოდებენ ფულს, იღებენ მათ მიერ ნაყიდ ხორბალს და მომარაგების სამინისტროს სახელზე გზავნიან. სამინისტროს რწმუნებულს უფლება აქვს სასურსათო კომიტეტს კანტროლი გაუწიოს. ახალციხის მაზრაში ხორბლის დამზადებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ერობამაც.

**იტალიის წარმომადგენელი დამფუძნებელ კრებაში.** 25 ივნისს, დამფუძნებ. კრების თავმჯდომარის ამხანაგი ალ. ლომთათიძე ინახულა საქართველოში დანიშნულმა იტალიის პოლიტიკურმა აგენტმა დ. მერკატელმა. იტალიის წარმომადგენელი მიესალმა დამფ. კრების თავმჯდომარის ამხანაგს და სთხოვა მას მიიღოს იტალიის პატივისცემის გრძნობა და მეგობრობის სურვილი. ლომთათიძემ იმავე დღეს ინახულა მერკატელი.

**საწარმოვო გადასახადი.** გადასახადთა სამმართველო გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ 15 ივნისს დასრულდა ვაჭრა ხარჯთ-ამკრებ ინსპექტორების მიერ გადასახადების ფურცლების დარიგებისა. იმ გადამხდელებს, რომლებიც უკმაყოფილონი არიან, საჩივარის შემოტანა შეუძლიათ 15 ივნისიდან, რომლებიც ხარჯთ-აღრიცხვის ინსპექტორებმა 15 აგვისტომდე უნდა განიხილონ.

**გოგირდის აბანოები.** თფილისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობით, მიმართა მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასცეს მას საიჯარო საფუ-

ძველზე ყველა სახელმწიფო გოგირდის აბანო ახალი ვადით.

◆ **ერთდროული დახმარება.** 22 ივნისის სხდომაზე მთავრობამ იმ დეკრეტის განსამარტავად, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის და მუშებისათვის ერთდროულ დახმარების მიცემას დაადგინა: დაკმაყოფილებულ იქნეს ერთდროული დახმარებით ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა მოსამსახურენი, რომელნიც ამ ჟამაც ფრონტზე იმყოფებიან. სახალხო გვარდიელებს ერთდროული დახმარება უნდა მიეცეს იმ დაწესებულებისაგან, სადაც ისინი მსახურობენ, მიუხედავათ იმისა, თუ როგორია ეს დაწესებულება: სახელმწიფო, კერძო, თუ საზოგადო.

◆ **თფილისის გარე უბნის სათემო ერობის გამგეობას** აქვს გასასყიდი იაფ ფასებში (სოფ. დიღომში საკუთარ ბაღიდან) საუკეთესო ჯიშის პამიდორის ნერგი (ჩითილი). მსურველთ შეუძლიანთ დაიკვეთონ გამგეობის კანცელარიაში: პლეხანოვის პროსპექტი, № 171. დილის 8—2 საათამდე.

◆ **ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჰრა-კერვის სკოლა.** დაამთავრეს შემდეგ მოწაფეებმა: გედევანიშვილი მარიამი, გიგაური ნინო, მელაშვილი ანა, ვარდიაშვილი მარიამი, ჯალაღანია თამარი, ჯილაური ბარბარე, ქობულაშვილი მარიამი, ქუცნიაშვილი ნინო, ქობულაშვილი ელენე, ქვლივიძე ანა, შალაშვილი ნინო, ხიზანაშვილი ნინო, კაპარიაშვილი სოფიო, სულუხია ელენე, კანდელაკი ნატალია, ჭეიშვილი ელენე, ხუნდაძე ნატალია.

◆ **მუშათა ცენტრალური კლუბი.** ოთხშაბათს, 30 ივნისს, გაიმართება ჩვეულებრივი უფასო საღამო წევრთათვის. ბაღში გაიმართება სინემატოგრაფი, ხოლო სცენაზე ქართველ პოეტების მონაწილეობით გაიმართება დიდი დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობენ: დუტუ მეგრელი, ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, პ. იაშვილი, ობოლი მუშა და გ. შინატეხელი. ხუთშაბათს 2 ივნისს ახალი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „დამნაშავეა".

◆ **ვალიუტის ოფიციალური კურსი.** მომარაგების სამინისტრო იუწყება მიმდინარე დღის ვალიუტის ოფიციალური კურსის შესახებ: გირვანქა სტერლინგი (ბანკნოტი) 1150 მან. ამ კურსით მომარაგების სამინისტრო უსწორებს ანგარიშს ყველა დაწესებულებებს და კერძო პირს.

◆ **რუსეთიდან დაბრუნებული** პარმენ ლუკასძე ლეჟავა გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ქ. ეკატერინოდარში გადაიცვალნენ ტიფით ბესარიონ და ალექსანდრე ბეჩუნისძე ლოლუები. დაწვრილებით ცნობებისათვის მისამართი: ს. დიდი ჯიხაიში, ქუთაისის მაზრა.

◆ **იპოვნა** არტაშეს პეტროსოვმა გასაღებები, ერთობის ქუჩაზედ. პატრონს შეუძლია მოიკითხოს გაზ. „ერთობის" რედაქციაში გოგუაძესთან.

◆ **ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა** აცხადებს, რომ რესტორან „ამირანში" გამართულმა საღამომ მუშათა კლუბს მისცა 11,43 მანეთი, რისთვისაც გამგეობა მადლობას უძღვნის კომისიას და „ამირანის" პატრონს.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

ხუთშაბათს, 1 ივლისს, საღამოს 5 ს. შესდგება ავლაბრის უბნის გვარდიელთა საზოგადო კრება, დღიურ წესრიგში დასმულია შემდეგი კითხვები: 1) ფრონტიდან მოხსენება; 2) შტაბის მოქმედება; 3) შტაბის არჩევნები.

— დღეს, საღამოს 6 ს. რკინის გზის სამმართველოში დანიშნულია სამმართველოს რაიონის ს.-დ. წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება მომენტზე, მომხსენებელი ცენტრ. კომიტეტიდან; 2) მოხსენება პარტიის მეორე ყრილობის შესახებ.

— დღეს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.

**პროვინციის ქრონიკა.**

ქვირას, 4 ივლისს, შუადღის 12 საათზე არის მოწვეული დუშეთის სამაზრო ხმოსანთა ყრილობა. სთხოვენ ყველა ხმოსნებს აუცილებლათ დაესწრონ.

## არდაგან-ართვინი

არდაგან-შავშეთ-ართვინში მოგზაურობიდან დაბრუნდა დამფ. კრების წევრი გ. ანჯაფარიძე, რომელმაც საქარ. დემ. საიგ. თანამშრომელთან საუბრის დროს ოლქში არსებულ განწყობილების შესახებ შემდეგი განაცხადა: არდაგანის ოლქში, სთქვა ანჯაფარიძემ, პოლიტიკური მდგომარეობა მტკიცეა. მთავრობის წარმომადგენლებს და ჯარს მცხოვრებლები ნდობით უყურებენ, ვინაიდან მასში ხალხის ინტერესების დამცველებს ხედავენ. მცხოვრებლები შარშანდელ მოუსავლიანობის გამო სურსათის ნაკლებობას გრძნობენ. მთავრობა მცხოვრებლებს დახმარებას უწევს და თავის დროზე გააგზავნა იქ სათესი ხორბალი და სურსათი. მაგრამ დახმარება უნდა იქნეს გაძლიერებული. იმ მცხოვრებთა მდგომარეობა, რომლებიც ჩვენი გავლენის სფეროს გარეშე იმყოფებიან, გაცილებით უარესია, რაც ნათელი ხდება სხვადასხვა დელეგატების განცხადებიდან, რომლებიც გვთხოვენ არდაგანის დანარჩენ ნაწილის შემოერთებისაც. ასეთივე კარგი მდგომარეობა არის შავშეთში. მიუხედავათ საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პროვოკაციულ მუშაობისა, მცხოვრებლები არ წამოეგნენ პროვოკაციის ანკესზე და ჩვენ ჯარებს აღფრთოვანებით შეხვდნენ. ჩვენი ჯარები ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად ილაშქრებენ ბანდების წინააღმდეგ, რომლებიც შავშეთის და ზემო აჭარას ეცემიან. ამ ჟამად, ადგილობრივ მცხოვრებლებთან სრული თანხმებით, შავშეთში სდგება ადმინისტრაცია და აგრეთვე იღებენ ზომებს ავანტიურისტულ გამოსვლების წინააღმდეგ. თვით ართვინში ჩემი იქ ყოფნის დროს, ინგლისის ნაწილები იდგა, მაგრამ ისინი როგორც წავიდენ, მცხოვრებლებმა ჩვენ ჯარებს მიმართეს თხოვნით ქალაქში შესულიყვენ. ართვინის ოლქში წელს მოსალოდნელია კარგი მოსავალი. სასურსათო მდგომარეობა იქ გაცილებით უკეთესია, ვიდრე არტაანში. ჩვენი ჯარების სულიერი განწყობილება საუცხოვოა. ჯარები აკვირვებს ადამიანს თავისი შეგნებითა და დისციპლინით. ისინი არ გრძნობენ ნაკლებობას სურსათში. უნდა აღინიშნოს პოლ. ვაჩნაძის მოქმედება, რომელმაც შესძლო ასეთი ძალების შექმნა ამ რაიონში. (სდს)

## ბრძანება

**რესპუბლიკის ჯარების მიმართ.**

**№ 108.**

ვბრძანებ გადაირიცხონ ნამდვილ სამსახურიდან სათადარიგო ჯარში 1897, 1898 და 1899 წლებში დაბადებულნი ყველა ის ჯარის-კაცნი, რომელნიც ნამდვილათ ირიცხებიან სამხედრო ერთეულებში და შესრულებული აქვთ სამსახურის კანონიერი ვადა. ამ სახით სათადარიგოთ გადარიცხულ ჯარის-კაცებზე გავრცელდეს დამფუძნებელ კრების მიერ 1920 წლის 22 ივნისს მიღებული მობილიზაციით ლაშქარში გაწვეულ ჯარის-კაცთა და გვარდიელთა ოჯახების დახმარების დეკრეტი, ხოლო მათი სამსახურიდან განთავისუფლება მოხდეს ჯარის საერთო დემობილიზაციის შემდეგ, ჩემი განსაკუთრებული ბრძანების მიხედვით.

სამხედრო მინისტრი **გრ. ლორთქიფანიძე.**

## სენატში

30 ივნისისათვის სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის სადმინისტრაციო განყოფილების საკრებულოს სხდომისთვის დანიშნულია განსახილველათ შემდეგი საქმეები:

1) საჩივარი პეტრე ზუმბაძისა სახელმწიფო კონტროლიორის განკარგულებაზე.

2) საჩივარი გიორგი ჩომახიძის რწმუნებულის ნაფ. ვექ. მიხეილ ბირძულისა ქიათურის ქალ. გამგეობასთან მიწის შესახებ.

3) საჩივარი მურზაყან როსტომის ძე მალლაკლიძისა და ლონტი მუმლაძისა მიწად-მოქმედების სამინისტროსთან, ნორმის შესახებ.

4) საჩივარი ქალაქ თფილისის გამგეობისა—მიქაძის ბინის რეკვიზიციის შესახებ.

5) საჩივარი ბორის ალექსანდროვსკის—ოთახზედ ნიხრის დაწესების შესახებ.

6) საჩივარი ალექსანდრე შალამოვის და სარქის გევორქიანცის—შრომის მინისტრის დადგენილებაზე აბანოების მოსამსახურეთა დათხოვნისა და სალიკვიდაციო ფულით დაუკმაყოფილებლობის შესახებ.

## დამფუძნებელი კრება

25 ივნისის სხდომა.

(დასასრული)

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ალ. ასათიანი.** ბევრი ომი გადაუხდია ქართველ ხალხს ამ სამი წლის განმავლობაში, მაგრამ იშვიათად ყოფილა ისეთი ერთსულოვნება, როგორიც იყო ქართველ ერში ამ ომის განმავლობაში. როგორც კი მეზობელი სახელმწიფო თავს დაგვესხა,—მთელი ერი, როგორც ერთი კაცი, დადგა ფეხზე და დაიცვა თავისი დამოუკიდებლობა. თუ ქართველი ხალხი ერთსულოვანი იყო ამ ომის წარმოებაში, იგი არ იქნება ერთსულოვანი აქ წარმოდგენილ საზავო ხელშეკრულების დაფასებაში. განმეორდა ის, რაც არა ერთხელ განმეორებულა. მეორე მეზობელთან ომის დროს ქართველმა ხალხმა სასტიკათ დაამარცხა მტერი, შედეგი კი სულ არ შეეფერებოდა ამ ომს. არც ერთი დასახული მიზანი არ განხორციელდა ამ ომში. ჩვენი საზღვრები ვერ უზრუნველვყავით, ვერ აღვადგინეთ ის ისტორიული საზღვრები, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში იყო შექმნილი. ენახეთ ზარალი, სამაგიეროთ ვერაფერი მოვიღეთ. ზაქათალის საკითხი გაცილებით ცუდ მდგომარეობაშია. იგი ეკავა ადერბეიჯანს და არავის არ ჰქონდა ეჭვი, რომ ამ ტერიტორიას მალე დავიბრუნებდით. ის გზა, რომლითაც ჰსურთ გადასწყვიტონ ზაქათალის ბედი, უიმედოა. ადერბეიჯანი რუსეთის ნაწილია. ომი შეწყდა, მაგრამ მტკიცე ზავი მაინც არ გვაქვს. ჩვენი მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ის, რომ ისეთი დიდი ჯარები, როგორც ამ ჟამად იმყოფება ადერბეიჯანში, იქ არ დარჩენილიყო და აგრეთვე უნდა დაგვენახვებია ყველასათვის, რომ ჩვენი და რუსეთის გზები გაიყო, ჩვენ მას სამუდამოთ ჩამოვშორდით.

**ხ. ფირცხალავა.** წარმოდგენილი ხელშეკრულება დიდ მნიშვნელოვანია ჩვენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, თუმცა იგი ვერ სწყვეტს სადაო საკითხებს.

მართალია, ზოგიერთი საზღვრები გასწორდა, მაგრამ მთავარი საკითხი საინგილოსი გადაუწყვეტელი დარჩა. ომმა ეკონომიურად დიდი ზარალი მოგვაყენა. ადერბეიჯანში დავკარგეთ მრავალი მილიონის ღირებული ქონება. მართალია, ფულით აგვინაზღაურდება, მაგრამ რაც უნდა დიდ-ძალი ფული გქონდეთ, ხშირად ბევრ საჭირო ნივთებს ბაზარზე ვერ იშოვნით. მილიარდ-ნახევარი და შეიძლება ორი მილიარდი უმიზეზოდ თავზე დააწვა ჩვენ ერს და, სამწუხაროდ, მკვიდრო ზავი მაინც ვერ მივიღეთ. ნეიტრალური ზონები ამტკიცებენ იმას, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის მეზობლური კავშირი, კავკასიის რესპუბლიკები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან; თუ ერთი საფრთხეში ჩავარდება, მეორე სახელმწიფოზედაც იქონიებს ეს გავლენას. ჩვენ არ ვცდილვართ, რადგანაც შესაძლებელი იყო, გამოგვერკვია ადერბეიჯანის მდგომარეობა. ჩვენ არ ვიცით, ადერბეიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა თუ რუსეთის ნაწილია? ამ გარემოებისათვის უნდა მიგვექცია ყურადღება. როგორც მოსკოვის, ისე ალსტაფის ხელშეკრულება რუსეთის ორიენტაციის მაჩვენებელია და ეს დიდათ საზიანოა ჩვენთვის. არც ერთ სახელმწიფოს ისე არ შეუძლია დაგვიმონავოს, როგორც რუსეთს—იქნება ის სოციალისტური, თუ რეაქციონური. დასასრულს უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-6 მუხლი ემყარება მოსკოვის იმ ხელშეკრულებას, რომელიც ჯერ არ განუხილავს დამფუძნებელ კრების, ეს კი ნიშნავს დამფუძნებელ კრების უფლებათა შეზღუდვას. მაგრამ მიუხედავათ ამ ნაკლისა, არ შემიძლია არ აღვნიშნო ამ ხელშეკრულების დადებითი მხარეები. ხელშეკრულება მით არის კარგი, რომ მან მოსპო ომი და მოგვცა საშუალება მშვიდობიან გზით სადაო საკითხების გადაწყვეტისა. ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ ხელშეკრულებას და იმედს გამოვსთქვამთ, რომ ერთხელ და სამუდამოთ გადაწყდება სადაო საკითხები და დაუბრუნდება ქართველოს ძალით წაგლეჯილი ადგილები.

**ლ. შენგელაია.** ჩვენ არ გვინდა ომი, ვღებულობთ ამ ხელშეკრულებას. ამ ზავით ჩვენ შევინარჩუნეთ ის, რაც გვქონდა და რაც არ გვქონდა,—შეიძლება დაგვიბრუნდეს. ჩვენ არა ვართ არბიტრაჟის წინააღმდეგ, და, არც იმედი დაგვიკარგავს, რომ რუსეთი შელახავს ჩვენი ქვეყნის საარსებო ინტერესებს; მაგრამ სუპერ არბიტრათ რუსეთი არ ივარგებს, იგი დაინტერესებული მხარეა. ჩვენი დამოუკიდებლობის მტრებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ და იმედია, ყოველთვის ასე მოუვა იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებს. ჩვენ გვწამს. რომ ყოველთვის გავიმარჯვებთ, რადგანაც ძლიერია ჩვენში სიცოცხლის წყურვილი (ტაში).

**გრ. ვეშაპელი.** აღნიშნავს, რომ ადერბეიჯანში რუსეთი შემოვიდა მემარცხენეთა დახმარებით და ის გადატრიალება, რომელიც მოხდა ადერბეიჯანში სოციალისტური ფირმით, იყო ნაძალადევი. ჩვენი ჯარის წინ იდგა რუსეთის ჯარი და საინტერესოა ის გარემოება, რომ ეს ხდებოდა ცენტრის დასტურით. რუსეთი, მართალია, ზავით შეგვეკრა, მაგრამ მან მაინც არ აიღო ხელი აგრესიულ მიზნებისაგან. გაგრის გზით არ იქნებოდა ადვილი შემოსვლა, დარიალით შეუძლებელი იყო და ბოლოს წამოვიდა იმ გზით რომლითაც ადვილი იყო ჩვენი გადალახვა. მიზანი ჩვენი ორგვარი უნდა ყოფილიყო: ერთი ისეთ სტრატეგიულ პუნქტების დაჭერა, რომელიც უზრუნველჰყოფდა თფილისს მოსალოდნელ საფრთხეთაგან; მეორე მიზანი იყო ადერბეიჯანიდან უცხო ძალების განდევნა. მაგრამ მმართველმა პარტიამ ეს ომი მენშევიკურათ აწარმოვა. ეს არის ომის შაბლონიურათ წარმოება, თავში კრიზისი, მერე კრიზისის დაძლევა და შემდეგ გარეშე ძალის ხათრით არა ხელსაყრელი ზავი. ომის პირობები ისეთი იყო, რომ ჩვენ ადვილათ შეგვეძლო დასახულ მიზნების განხორციელება.

ამ ხელშეკრულებამ კი აღადგინა მხოლოდ Status quo და რამდენიმე ვერსი მიემატა ჩვენს ტერიტორიას. თფილისი არ არის განჯის მხრიდან უზრუნველყოფილი, საინგილო ამ ზავმა ვერ მოგვცა, მისი დაკავება არ იყო ძნელი! მარტო ქიზიყის და გახეთის მოხალისეებს შეეძლოთ საინგილოს დაკავება. შემდეგ ორატორი ეხება მე-6 მუხლს და აღნიშნავს, რომ იგი ჩვენთვის მიუღებელიაო. დაყრდნობა რუსეთის ზავზე, რომლის რატიფიკაცია არ მომხდარა, შეუძლებელია. შეუძლებელია არბიტრაჟით გადაწყვეტა ამ სადაო საკითხის, რადგანაც არბიტრი იქნება რუსეთი და იგი ხომ დაინტერესებული მხარე არის. ორატორს არ მიაჩნია საიმედოთ რუსეთთან დადებული ხელშეკრულება. ზავის შედეგი იყო ოსეთის აჯანყება; ზავის შემდეგ ჩიჩერინმა ქემალ-ფაშას მიაკუთვნა რეფერენდუმი ბათომის ოლქში, არ გასულა რამდენიმე დღე, რომ აქაც დაგვანახვეს, თუ როგორ ასრულებენ ზავის პირობებს. ზავის შემდეგ მათ ჯარები შეიყვანეს იმ ადგილებში, სადაც ხელშეკრულების ძალით არ უნდა შეეყვანათ. ორატორს საჭიროდ მიაჩნია ევროპასთან მჭიდრო კავშირის დაჭერით რუსეთის საფრთხის თავიდან აცდენა.

**ბ. თივზაია.** ბატონებო! რამოდენიმე თვის წინად ადერბეიჯანში არსებობდა მთავრობა, რომელსაც ჰქონდა ჩვენთან დადებული ხელშეკრულება. ბოლო ხანებში ადერბეიჯანში გაძლიერდა ყველაზე კონსერვატიული „იტიხიდის" პარტია, რომელიც აშკარად აღიარებდა, როგორც თავის ორგანოში, ისე პარლამენტში რუსეთის კომუნისტებთან კავშირის საჭიროებას. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა აღმოსავლეთში იხატებოდა სწორეთ ამ პარტიის ორგანოში. როგორც იცით, გადატრიალების შემდეგ დაიწყო ომი ჩვენსა და ადერბეიჯანს შორის. ორივე მხარე სულ სხვადასხვა მიზანს ისახავდა. ამ ომის დროს ადერბეიჯანის ის ზოგიერთი ძველი გენერლები, რომლებიც მინისტრის პოსტებზედაც იყვნენ და თავისი ქვეყანა გადასცეს საბჭოთა რუსეთს, მიზნათ ისახავდნენ, სხვათაშორის, საქართველოსათვის ჩამოეჭრათ ის ადგილები, სადაც მუსულმანობა მოსახლეობდა: ამას ისინი არ მალავდნენ (ვეშაპელი: ისინი დევნილნი რიან. გამოიქცნენ) ახლა გამოიქცნენ, რადგანაც პერსპექტივაში შეცდნენ ადერბეიჯანის ახალ მთავრობას კი მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. მეორე მხარის, ე. ი. საქართველოს მიზანი იყო დამოუკიდებლობის შერჩენა და ის არ ჰფიქრობდა არც სხვა ქვეყნების დაპყრობას და მათ შინაურ საქმეებში ჩარევას. აქ ამბობენ, საქართველოს მიზნათ უნდა ქონოდა ადერბეიჯანის ხალხი უცხო ძალებისაგან გაენთავისუფლებიაო. ასეთ მიზნებს ჩვენ ვერ გავიზიარებთ ასეთ მიზნებს მხოლოდ სხვადასხვა ჯურის იმპერიალისტები ისახავენ, რომელნიც ძლიერ ხალისიანად სხვის შინაურ საქმეებში ერევიან. ბ-ნ ვეშაპელს რომ დაუჯეროთ, ჩვენ ჯარი უნდა გავგზავნოთ არა მარტო ადერბეიჯანში, არამედ სპარსეთშიაც, რომ ის გავანთავისუფლოთ უცხო ძალებიდან. ამას ვერც იზამს და არც იზამს ჩვენი დემოკრატია.

უნდა იცოდენ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა, რომ ერთი საფუძველთაგანი ჩვენი რესპუბლიკის — ეს ნეიტრალიტეტია. ვინც ამის დარღვევას მოითხოვს, ის მოითხოვს ჩვენი დამოუკიდებლობის აქტის ერთი ძირითადი მუხლის დარღვევას. ვინც ისეთ მიზანს ისახავდა, რომ ჩვენი დემოკრატია შეჭრილიყო ადერბეიჯანში, ის რასაკვირველია, ვერ დაკმაყოფილდება ამ ხელშეკრულობით. მაგრამ ჩვენს დემოკრატიას სულ სხვა მიზანი ჰქონდა. ეს იყო თავისი დამოუკიდებულობის დაცვა. ეს ხელშეკრულობა ამას ემსახურება და ჩვენც მას ვიცავთ. რასაკვირველია, ეს ზავი კომპრომისულია. ჩვენი ჯარი, რომ შეჭრილიყო ადერბეიჯანის სატახტო ქალაქში, დაემხო მთავრობა, რასაკვირველია, მას შეეძლო ეკარნახა ისეთი ზავი, როგორიც მოესურვებოდა. მაგრამ ეს იქნებოდა მთელი ჩვენი ტრადიციის უარყოფა. აქ ბრძანებენ, ზაქათალა ჩვენი განუყოფელი ნაწილიაო. ეს მართალია. მაგრამ ზაქათალის მუსულმანი დეპუტატები ადერბეიჯანის პარლამენტში ისხდენ. ხოლო ყველა ადერბეიჯანის პოლიტიკური პარტიები მუსავატთან ერთად იძახდენ: ზაქათალა ადერბეიჯანის უდავო ნაწილიაო. ამ ნაირად, უწინ ეს ორი შეხედულება ერთი ერთმანეთს ეჯახებოდა. ამ ზავის დროს ერთი მოხდა, თვით ადერბეიჯანმა აღიარა სადაოთ ზაქათალის ოლქი. მერე მოხდა კიდევ ის, რომ ის ნაწილი სიღნაღის მაზრისა, რომელიც ფაქტიურად ადერბეიჯანს ეჭირა, ჩვენს ხელში გადმოვიდა: აქ ბევრს ლაპარაკობენ პერსპექტივებზე, იმაზე არას ვიტყვი. მხოლოდ, რომ საქართველოს დემოკრატია ამ ხელშეკრულებას პირნათლად შეასრულებს. არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ საქართველოს დემოკრატიას თავისი სიტყვა დაერღვია. ზავი საქართველოს დემოკრატიისთვის ეს ნორმალური მოვლენაა, მისი ბუნებრივი სტიქიაა, ის იარაღს მხოლოდ მაშინ მიმართავს ხოლმე, როდესაც მას თავს ესხმიან, როდესაც სხვა გზა არ არის სადავო კითხვების გადასაჭრელად. ჩვენ ავასრულებთ ამ ხელშეკრულებას, მაგრამ თუ ვინმე შეეცდება მის დარღვევას, ჩვენი ჯარი და გვარდია, რომელიც დარაჯათ უდგას ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, შესაფერ პასუხს გასცემს მომხდურთ და თავის დროშას არასოდეს ძირს არ დაუშვებს. ეს კარგად უნდა იცოდეს მტერმაც და მოყვარემაც. (ტაში)

ამის შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. აკ. ჩხენკელი (მის სიტყვის სტენოგრაფიულ ანგარიშს შემდეგ დავბეჭდავთ).

საზოგადო მსჯელობის შემდეგ აკ. ჩხენკელი კითხულობს ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც მიღებულ იქნა.

# ღვთის წყრომა

წითელი რაშით შემოვიჭერ საქართველოში,
ავთანდილივით შემოვძახე ლაღი სიმღერა;
ჩემი სახელი ჰქუხდა ყველა სადღეგრძელოში,
ჩემი დიდება ხალხის გულში ღრმად ჩაიწერა.

ბევრს დაენატრა ბედი ჩემი, ბედი ყრმობისა,
მაგრამ არც ერთი არ ყოფილა ჩემზე უბედო;
გამიწყრა ღმერთი და დამიქრო ცეცხლი გრძნობისა,
ველარ ალვძარი სასიმღეროდ, რაც გულში მედო.

წითელი რაშით შემოჭრილი საქართველოში,
ვბრუნდები უკან შავის ფიქრით და შავის რაშით;
აღარ ირხევა ჰანგი ჩემი ცის ლურჯ სფეროში,
ტიალს მდელოში მესმის მხოლოდ ყორნის ყრაშყრაში.

მაისი, 1920 წ. **გ. ქუჩიშვილი.**

## საქართველოს ს. დ. მ. პ. მეორე ყრილობა

**19 ივნისის სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

განსახილველია საკითხი: პარტია და სახელმწიფო. მოხსენებას აკეთებს ამხ. **მუხრან ხოჭოლავა,** რომელიც ამბობს: საერთოდ ხშირათ მესმის: რა არის ეს ოპოზიცია, მას და პოზიციას შორის არ არის პრინციპიული განსხვავება და სხვ. ყველა ეს განცხადებები გაუგებრობაზე არის აშენებული. ოპოზიციის და პოზიციის შორის რომ დიდი პრინციპიული განსხვავება არსებობდეს, მაშინ ჩვენ ერთ პარტიაში ვერ მოვთავსდებოდით, მაგრამ ასეთი დიდი პრინციპიული განსხვავება არ არსებობს. შემდეგ მომხსენებელი ეხება სახელმწიფოს მნიშვნელობას და ამბობს: სახელმწიფოს აქვს ერთგვარი ისტორიული თვისებები, ტენდენციები, როგორც მისი ატრიბუტები. ერთი ასეთი თვისება, რომელიც სახელმწიფოს ახასიათებს, როგორც საზოგადოებრივ ორგანიზაციის ისტორიულ განვითარებას სივრცეზე, არის ის, რომ სახელმწიფო ცდილობს შეარიგოს საზოგადოების სხვადასხვა ნაწილები, კლასები.

მაგრამ სახელმწიფოში ერთი რომელიმე კლასი ყოველთვის გაბატონებულია. მარქსიზმი ამბობს, რომ სახელმწიფო არის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ბურჟუაზიის ინტერესებს იცავსო. ეს ასეც არის, მაგრამ ეს სახელმწიფოს ხელს არ უშლის გამოვიდეს შემრიგებელის როლში.

ყოველგვარი ნორმა, უფლება არის შემდეგი კომპრომისებისა, თვით სახელმწიფო ეს კომპრომისული ორგანიზაციაა. სახელმწიფოს პირველი საზრუნავი საგანია არა პოლიტიკა უფლებისა, არამედ მისი დოგმატიკა. ის დარაჯია იმ უფლების, რომელიც შეიქნა საზოგადოებაში, ე. ი. ის დარაჯია მომქმედი, პოზიტიური უფლების. სახელმწიფო ვერ დასვამს საკითხს უფლების პოლიტიკის შექმნის შესახებ. ასეთი თვისება სახელმწიფოსი მარქსიზმის აზრით არის კონსერვატიული. ამ რიგათ სახელმწიფო არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის ახალი განვითარებისათვის, პეტრაჟიცკის სიტყვით ინტუიტიური უფლების შექმნისათვის. შეიძლება ჩვენი სახელმწიფო სხვანაირი ტიპის იყოს?

აქ ბ. რამიშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ არაფრით არ ვიცავთ ბურჟუაზიის ინტერესებსო. ჩვენში ასეთი წარმოდგენა აქვთ, რომ თითქოს ჩვენ არაფრით არ ვიცავთ ბურჟუაზიის ინტერესებს, ჩვენს სახელმწიფოს აქვს პროლეტარული მიდრეკილება და ვიცავთ პროლეტარიატის ინტერესებს. ამხ. ჟორდანიას და წერეთელს ალბათ ახსოვთ, რომ სახელმწიფოს სათავეში ყოფილან უკიდურესი მემარცხენენი, მაგრამ ის სახელმწიფო მაინც ბურჟუაზიულ სახელმწიფოთ დარჩენილა. მე ვაყენებ კითხვას: ჩვენი სახელმწიფო არის მარტო პროლეტარული და იქ არ არის არაფერი ბურჟუაზიული?—მარქსი მე-18 ბრიუმერაში ამბობდა, რომ თანამედროვე რევოლიუცია პროლეტარულიაო. ამით მას იმის თქმა უნდოდა, რომ ამ რევოლიუციებში პროლეტარიატი აქტიურ როლს თამაშობს, მაგრამ ის (პროლეტარიატი) ვერ სარგებლობდა მისი შედეგებით, ამ რევოლიუციებს პროლეტარული მიდრეკილება თან ახლდა.

ჩვენი სახელმწიფოს ტიპიც, რა თქმა უნდა, არ არის არც წმინდა ბურჟუაზიული და არც წმინდა პროლეტარული. ჩვენი სახელმწიფო ვერ მოშორდება იმ ჩარჩოებს, რომელიც მას მიაკუთვნა ისტორიულმა განვითარებამ. ის, როგორც ზემოთ განვაცხადე, ვერ ქმნის ინტუიტიურ, ახალ უფლებას, ის მხოლოდ დარაჯია მომქმედი უფლების. მაშ ისმება საკითხი: ვინ ქმნის ახალ უფლებას? ახალ, რევოლიუციურ უფლებას ქმნის მუშათა კლასი და მისი მებაირაღტრე სოც. დემოკრატია. ამის გაკეთება შეუძლია მას, ვისაც არ განუცდია ჩამოსხმული უფლება, ვისაც წინეთ არ შეუქმნია უფლება. ამიტომ, როდესაც ჩვენს წინ ცხოვრება წამოაყენებს საკითხს პარტია და სახელმწიფოს შორის დამოკიდებულების შესახებ, ჩვენი ვალია თავიანთი ფუნქციები მიუჩინოთ, როგორც პარტიას, ისე სახელმწიფოს.

შეიძლება თუ არა ეს დიფერენციაცია მოხდეს პარტიის და სახელმწიფოსი, მაშინ, როდესაც ისინი ერთი მეორეში შედიან, შერეულნი და გათქვეფილნი არიან ერთი მეორეში? ჩვენ ვამბობთ, რომ არ შეიძლება. სახელმწიფო იძულებითი ორგანიზაცია, პარტია კი ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა, ამიტომ ამ ორი ტიპის ორგანიზაციის ერთმანეთში შერევა შეუძლებელია. რაც შეეხება შეთავსების საკითხს, ის უბრალო შტრიხია, ეპიზოდია მთავარი საკითხისა.

შემდეგ ორატორი ეხება იმას, თუ რა უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ჩვენს პარტიულ ამხანაგებს, მთავრობაში სახელმწ. საზოგადოებრივ ალმ. ორგანოებში ერთ და იმავე დროს მუშაობა და ამბობს: ჩვენ უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ ჩვენი მთავრობა თავისდა უნებლიეთ ვერ აკეთებს იმ საქმეს, რომელიც მას უნდა გაეკეთებინა.

ამხ. ჟორდანია და რამიშვილი მთავრობაში ვერ გრძნობენ თავიანთ თავს კარგათ, რადგანაც ობიექტიურ პირობების გამო ისინი იქ იძულებულნი არიან სოც.-დემოკრატობა მიივიწყონ და სახელმწიფო ინტერესებს ემსახურონ. აი აქ, ყრილობაზე მათ თავიანთი თავი იცნეს სოც.-დემოკრატებათ, ასე ვსთქვათ მათ არსებაში მოხდა ერთგვარი პარტიული აჯანყება მთავრობული სულის წინააღმდეგ. დღეს მე ჩვენი მინისტრების მდგომარეობა მაგონებს გერცენის იმ გმირის მდგომარეობას, რომელიც შემდეგში გამოიხატება: ერთმა ვიცე-გუბერნატორმა წერილი მისწერა გუბერნატორს. მას მოუხდა იმ ხანებში გუბერნატორის თანამდებობის აღსრულება და თავის წერილზე თვითონ მოუხდა პასუხის გაცემა. მან შესაფერი პასუხი მისწერა ვიცე-გუბერნატორს. რომ დაბრუნდა თავის ალაგს, ვიცე-გუბერნატორათ, მიხვდა თუ როგორ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა თავისი თავი სხვადასხვა თანამდებობაზე ყოფნამ. ასე მოსდით ჩვენს მინისტრებს. მთავრობიდან ისინი ცენტრალურ კომიტეტს მისწერენ, ცენტრალური კომიტეტიდან კი ისევ თავის თავს მისწერენ მთავრობაში, ეს კი უხერხულია და არ შეიძლება კაცი თავის დადგენილების წინააღმდეგ წავიდეს. ამიტომ საჭიროა სახელმწიფოს და პარტიის ურთიერთ დამოკიდებულების სათანადოთ განსაზღვრა.

## ზემო სვანეთის გაჭირვება.

ჩვენი პაწია რესპუბლიკა მეტად მდიდარია ბუნების მრავალფეროვნობით, რასაც ჩვენი მომავლისთვის უსათუოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ერთი ასეთი კუთხეა სვანეთი, განსაკუთრებით ზემო, ანუ გადაღმა სვანეთი, რომელიც ჩვენგან საკმაოდ მოწყვეტილია და სადაც დღემდე არ დამყარებულა ისეთი წესები, როგორიც არსებობს საქართველოს რესპულიკის სხვა მხარეებში.

ზემო სვანეთი რომ მართლაც შესანიშნავია მრავალ მხრივ, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ევროპიელებს, სვანეთის შესახებ თითქმის მეტი სმენიათ, ვიდრე თვით საქართველოს შესახებ. სვანეთი იტაცებდა ევროპიელებს თავისი მდგომარეობით, მაღალი, თოვლ-ყინვიანი ლამაზი მთებით, როგორიც არის თუნდაც „უშბა", რომლის წვეროზე ასვლა მათ უკვე უშინჯავთ და ზოგს მიუღწევია კიდეც.

თვით სვანებიც არ შეიძლება ჩავთვალოთ სხვებზე ჩამორჩენილად. მათ უხდებოდათ ზამთრობით სხვა და სხვა ადგილებში სამუშაოდ წასვლა და ეს გარემოება მათზე შესაფერ გავლენასაც ახდენდა. აღსანიშნავია, რომ „თავისუფალი სვანები" უფრო დაახლოვებულნი არიან რაჭა-ლეჩხუმთან და ამიტომ ქართულად კარგად ლაპარაკობენ, ხოლო სადადეშქელიანო სვანები კი სამეგრელოსთან და ამიტომ მეგრული უკეთესად იციან. მეზობლობაც წინად არა ჰქონდათ ცუდი, მაგრამ ამ ორი წლის წინად, როცა საერთო ანარქია იყო თითქმის ყველგან, მეზობლობაში მოხდა საქონლის გატაცება, რასაც შედეგად მოჰყვა მტრობა და მკვლელობაც კი.

სვანები საერთოდ შრომის მოყვარევნ არიან და მშვიდობიანობის მოსურნენიც, მაგრამ მათშიაც ურევიან თავზე ხელაღებული ახალგაზრდები, რომელთაც შიშის ქვეშ ჰყავთ ხალხი. ამათი ალაგმვა ხალხს საკუთარი ძალით ვერ მოუხერხებიათ და იძულებული არიან თითონაც იარაღი იქონიონ ყოველთვის და ყოველგან. იქ მღვდლებსა და მასწავლებლებსაც ვერ ნახავთ, რომ მხარზე თოფი არ ჰქონდეს გადადებული.

ძველი ჩვეულება—„სისხლის აღება" იქ დღესაც ძალაშია და ამის შედეგი მართლაც საშინელებაა—მეზობელი მეზობელს მტრობს, თემი თემს და ერთმანეთის სისხლსა ღვრიან. კვირა არ გავა ისე, რომ რამდენიმე მკვლელობა არ მოხდეს ამ ნიადაგზე.

გასულ წელს მოგვიხდა ზემო სვანეთის ჩამოვლა. ბევრ სხვა გაჭირვებასთან ერთად ამაზედაც გვიჩიოდა ხალხი და თხოულობდა შველას.

ჩვენც შევპირდით, რომ ყოველივე მათ გაჭირვებას გადავცემდით რესპუბლიკის მთავრობას და ვაიმედებდით, რომ შესაფერი ზომები იქნებოდა მიღებული სვანეთში წესიერების დასამყარებლად.

გასულ წელს ამ მხრით ველარაფერი მოხერხდა. საჭიროა ეს ზაფხული მაინც აღარ გაუშვათ ხელიდან ისე, რომ სვანეთისათვის არაფერი გაკეთდეს. ამას თხოულობს სვანეთის მცხოვრებთა ინტერესები და ამასვე თხოულობს ჩვენი რესპუბლიკის გამაგრების საქმეც, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ გვექნება ჩვენ უფრო მეტი უფლება სვანებსაც მოვთხოვოთ მეტი მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის ჭირსა და ლხინში.

შეიძლება ზოგიერთთათვის კიდევ არ იყოს ცხადი, თუ რას ნიშნავს ჩვენი პაწია რესპუბლიკისათვის სვანეთის უყურადღებოდ დატოვება. თითონ სვანებისთვის რომ ეს დიდი უბედურებაა, ამას კარგად გრძნობს ყოველი შეგნებული სვანი. ამიტომაც იყო, რომ თფილისში მყოფ სვანების ერთმა ჯგუფმა ინახულა შინაგან საქმეთა მინისტრი და სთხოვა საჭირო ზომების მიღება სვანეთის მისაშველებლად. **ხ. ვადაჭკორია.**

## შრომის ბირჟა

უკანასკნელ დროს შრომის ბირჟის მუშაობა სრულიად დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს. მაგ., მოთხოვნის დაკმაყოფილება იყო იანვარში 6 პროც., მაისში კი—ავიდა 27,4 პროცენტამდე, ე. ი. მოიმატა ოთხჯერ.

ზოგიერთ კატეგორიებზე, როგორც, მაგ., მიწის მუშები, არქივის მთხრელები, მშენებლები, კვალიფიციური მუშები მადნეულობის მრეწველობაში,—მოთხოვნა აღემატება წინადადებას.

უკანასკნელ დროს დამოკიდებულობა შრომის ბირჟასა და პროფესიონალურ კავშირებს შორის შეთანხმებულია. კავშირების უმრავლესობამ, გარდა ფარმაცევტებისა და ბეჭდითი სიტყვისა, თავისი ბიუროების მუშაობა შესწყვიტა და ფუნქციები გადასცა შრომის ბირჟას. ამრიგად შრომის მთელი მოთხოვნილება სრულიად მოთავსებულია ბირჟაში.

ამის გარდა არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაბიჯი, რომელიც გადადგმულია შრომის ბირჟის მიერ მუშათა მიღების შესახებ დეკრეტის ცხოვრებაში გასატარებლად.

უკანასკნელ ორ თვის განმავლობაში ცნობის მიღებისთანავე დათხოვნილი იქნენ ის მუშები, რომლებიც მიღებული იყვენ შრომის ბირჟის დაუკითხავად. ასეთი ზომები იყო მიღებული შემდეგ დაწესებულებებში. ფაბრიკებში: „ლევ", ტარხანოვისა და საფაროვისა, ბეზრუჩკოს მაღაზიაში და სხვა. ბირჟა აქ მუშაობდა კავშირებთან შეთანხმებით და უკანასკნელთა რჩევით. იმ შემთხვევაში კი, როცა შეუძლებელი ხდება შრომის ბირჟამ გავლენა იქონიოს,—მაშინ იგი

მიმართავს შრომის კომისარს, რომელსაც კანონი სისრულეში მოჰყავს.

სხვათა შორის საყურადღებოა ის, რომ შრომის ბირჟამ შექმნა „უმუშევართა ფონდი“, რის გასაძლიერებლადაც იმართება კონცერტები, საღამოები და სხვა. უფრო ცოტა შემოდის შემოწირულება საზოგადო დაწესებულებებიდან და პროფესიონალურ კავშირებიდან; ჯერ-ჯერობით მიღებულია შემოწირულება ქალაქთა კავშირისაგან—10.000 მან., რკინის გზის კავშირიდან 10.000 მან., მსახიობთა კავშირიდან—1.000 მან.. კოოპერატიულ ბანკიდან—2.000 მან. და რესტორან „მეფისტოს“ მოსამსახურეთაგან 5.125 მან. პარიტეტულ კომიტეტის დადგენილების თანახმად ფული არაფერზე არ დაიხარჯება მანამდე, სანამ „უმუშევართა ფონდი“ 500.000 მან—დეარ ავა.

შრომის ბირჟასთან არსებობს საკაზმაო სახელოსნო, რომელიც ამზადებს, სხვათა შორის, კოლოფებს და კონვერტებს, რაზედაც 12—15 უმუშევარი მუშაობს.

## ს. დ.-პარტიაში

**ქ. ჭიათურა.** მიუხედავათ იმისა, რომ რესპუბლიკას ირგვლივ მტერი ახვევია და ჩვენი ყურადღებაც უმთავრესად ფრონტებისკენ არის მიქცეული,—პარტიული მუშაობა ჭიათურა-საჩხერის რაიონში მაინც გაჩაღებულია. ჭიათურის კომიტეტი, რომელიც ხელმძღვანელობს ამ ორ რაიონს, ენერგიულათ შეუდგა პარტიულ მუშაობის გაჯანსაღებას. კომიტეტს ყავს ორი მუდმივი პრაპაგანდისტი, რომლებიც დაიარებიან ამ ორ რაიონში, აცნობენ ხალხს სოც. დემ. მოძღვრებას და უხსნიან დღევანდელ მომენტს; ისინი აარსებენ კოლექტივებს იქ, სადაც ასეთი არ არის და აცხოველებენ არსებულ სუსტ კოლექტივების მუშაობას, თვით ქალაქი ჭიათურა კომიტეტმა დაჰყო ექვს უბნათ. ეს უბნებათ დაყოფა იმან გამოიწვია, რომ პარტიულ ამხანაგებს უჭირდათ ერთ ალაგას შეკრება.

ეხლა მათ საშუალება ეძლევათ იყოლიონ უბნებიდან თავიანთი წარმომადგენლები კომიტეტში; ამრიგათ მათ შეძლება აქვთ ყველაფერი, რაც კომიტეტში გადასწყდება, გადაიტანონ უბნებში მოაწყონ მეცადინეობა პარტიულ ამხანაგებთან, რასაც მოწვეული პროპაგანდისტი ხელმძღვანელობს. ერთი სიტყვით, კომიტეტმა მიიღო ყოველგვარი ზომები, რათა ამ ორ რაიონში პარტიული მუშაობა მეტის ტემპითა და ნაყოფიერებით სწარმოებდეს.

**თეოფილე კალანდაძე.**

## მუშათა შორის

### როდემდის?

საქართველოს რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა მდგომარეობა მეტად გაჭირვებულია. ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ სატარიფო პალატაში ჯამაგირების მომატება დღის წესრიგშია დასმულიო. მაგრამ, როგორც „სხივში“ მოთავსებულ ამხ. ჯიხაიშელის და სხვა წერილებიდან გავიგეთ, სატარიფო პალატას საჭიროთ უცვნია პურის რაციონის ნახევარ გირვანქის გადიდებით. თუ ეს მართალია, ვეჭვობ, რომ ეს საკმარისი იქნას. მე მგონია, რომ უკანასკნელის მომატების შემდეგ ცხოვრება, თუ მეტი არა, 160 პროცენტით მაინც გაძვირდა. და განა მარტო პურია ადამიანისათვის საჭირო?! ავიღოთ თუნდა მაგალითისთვის ორთქლმავალის ბრიგადა: ამაში შედიან 7—13 კატეგორიების მუშა-მოსამსახურენი და იღებენ 2800—4000-მდე მან. თვიურათ. ეს ჯამაგირი მან უნდა იკმაროს გზაში მგზავრობის დროს და ოჯახში. რა უნდა გააწყოს 2000 მანეთით ადამიანმა, როდესაც თუნდა ლობიო 20 და 15 მ. გამხდარა გირვანქა?! შაქარი ხომ 100—150 მან.; უშაქროთ გაძლება არც ერთ ბავშვებიან ოჯახს არ შეუძლია. ევებ ზოგიერთმა გულ-უბრყვილომ სასურსათო კომიტეტზე მიგვითითოს; მაგრამ ეს კომიტეტი საპონის გარდა არაფერს გვაწვდის, ისიც სულ ორი-სამი თვეა, რაც საქმათ გვეძლევა. ვინ არ იცის, რომ ორთქლ-მავალის „ბრიგადის“ ყველაზე მეტად უცვდება ტანისამოსი; მაგრამ არის კი მიღებული ზომები, რომ სამუშაო ტანისამოსით უზრუნველყონ იგი? სასურსათო კომიტეტმა ბათომში შეიძინა კოსტიუმები 3000—8000 მანეთიანამდე ღირებული. მე ვკითხულობ, შეუძლია კი შეიძინოს 8000, თუნდა 3000 მანეთად ღირებული კოსტიუმი მას, ვინც თვეში 2000 მ. იღებს?

საჭიროა სასურსათო კომიტეტმა თავისი მუშაობა გააცხოველოს და შესაფერი საქონელი შეიძინოს. საჭიროა სატარიფო პალატამაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს მდგომარეობას. საჭიროა მთავრობამაც მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ამ საქმეს.

**გ. ა—ბელი.**

---

**ფოთი.** ამას წინეთ ფოთის პირველი უბნის კომისარმა ნაჭყეპიამ აღმოაჩინა ხე-ტყის ქარხანაში მომუშავე ს. მურვანიძის სახლში რვა ბოჭკა ცემენტი, რომელიც აღმოჩნდა მეზღვაურთა კავშირის წევრის ტეხნიკ გუჯაბიძის მიერ შესანახათ მიბარებული. ამისათვის კომისარი დაპატიმრებას უპირებდა სამსონ მურვანიძეს, მაგრამ როდესაც გაიგო, რომ ის იყო ხე-ტყის ქარხნების კავშირის წევრი, პირობით გაანთავისუფლა. ჩვენ გვეგონა, რომ ბატონი კომისარი ამ საქმეს მისცემდა ოფიციალურ ხასიათს, მაგრამ მოვსტყუვდით. იმის ნაცვლათ, რომ გამოძიება მოეხდინა და გაეგო, თუ საიდან იყო ეს ცემენტი,—მეორე დღეს მოდის დროგით ტეხნიკის მამა და მიაქვს ცემენტი; ჩემს შეკითხვაზე მან მიპასუხა, რომ კომისარმა ნება დაგვრთოვო და ს. მურვანიძეც თავისუფალი არისო. მე მოვთხოვე კომისარის მოწერილობა კავშირის გამგეობის სახელით, მაგრამ მან მითხრა: ეს თუ საჭირო იყო, არ ვიცოდიო. ამაზე მე განუცხადე: თუ კავშირი არ იქნება პასუხისმგებელი კანონს წინაშე და მურვანიძეც თავისუფალი არის, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, და ამ შემთხვევაში შეგიძლიათ წაიღოთ ცემენტი; თუ კი ოფიციალურ მოწერილობას არ მოიტანთ,—მე ნებას მივცემ ჩემს თავს, დავაკავო ცემენტი და საქმე ვიძიო გამგეობის საშუალებითთქვა. ტეხნიკის მამის შემდეგი ნალაპარაკევი ნათლათ მოწმობდა, რომ საქმე კარგათ არ იყო. საქმის გამოსარკვევათ შედგენილი იქნა ახალი შერეული კომისია. ამ შერეულ კომისიის საშუალებით იქნენ დაკითხულნი საქმის მცოდნე პირები, მაგრამ ბოლო აღარ უჩანს, არა სჩანს, სად წავიდა ნაძიები ოქმები. პირველათ ფხიზლათ მოჰკიდეს ხელი კომისიებმა ამ საქმეს, მაგრამ გამოძიების დამთავრების შემდეგ საქმე მიფუჩჩდა და არ ვიცით, თუ რა გადაელობა წინ, ან სად წაიღეს ოქმები, მე მოვაგონებ კომისიის წევრებს, რათა გამოამზეურონ ნაძიები საქმე და მისცენ მას ოფიციალური ხასიათი.

საჭიროა საქმის დაბოლავება დააჩქაროთ, **ს. ხაფთასი.**

## პროვინცია

**ს. პატარა თონეთი.** ეს სოფელი ძევს დიდ-თონეთს და „პრიუტს“ შუა. გზები ორივე მხრივ, როგორც დიდ-თონეთიდან ისე „პრიუტიდან“, ძლიერ ცუდი არის სოფლის მდებარეობა მთა-გორიანია. მოსახლეობა დაახლოვებით 180 კომლამდე იქნება. მცხოვრებლები ქართულ ენაზე მოლაპარაკეა, სარწმუნოებით კი არიან მართლმადიდებელნი და აგრეთვე გრიგორიანები. სახნავ-სათესი-საბალახო სხვა სოფლებთან შედარებით ნაკლები აქვთ, რის გამოც სოფლელელნი დიდ გაჭირვებას განიცდიან. რომ ისინი კულტურულათ ამუშავებდნენ თავიანთ ნაჭერ მიწებს, ვფიქრობ, საკმაო ხორბალი მოუვათ; მაგრამ აქ არავითარი მიწის სასუქი, მოვლა არ იციან. მიწები საერთო არის ყველასათვის, კერძო სეკუთრება არ არსებობს. როდესაც შევეკითხე —რატომ მიწას სასუქს არ აძლევთქო, მითხრეს: რათ მინდა მიწა გავაკეთო: სოხდება მიწების დაყოფა და ჩემი გაკეთებული, თავის ნაშრომით, სხვას მოუწევსო. სოფლის მცხოვრებლებიდან მიწის გაყოფის ასეთი წესების შესახებ ბევრი საყვედური გამიგონია. საჭიროა ასეთ საყვედურებს ყურადღება მიექცეს: მიწის გაყოფა ჰხდებოდეს უფრო ხანგრძლივათ, რომ გლეხს საშუალება ქონდეს საყანეს განყოფილებაზე იზრუნოს. სწავლა-განათლების მხრივ სოფელი სულს ღაფავს. სწორეთ ეს არის მიზეზი უკიდურესი სიბნელე—სიღარიბისა. სანთლით რომ იაროთ წერა-კითხვის მცოდნეს ვერ იპოვით. თფილისის მაზრის ერობამ 1919 წლიდან აქ გახსნა პირველ დაწყებითი სკოლა, სადაც ერთი მასწავლებელი არის, მაგრამ მარტო ერთი კაცი ხალხის გათვითცნობიერებისათვის ვერას შესძლებს. ხალხი სხვადასხვა ზნე-ჩვეულებით არის დატვირთული: წირვა, სამხვთო, დღეობა და სხვა მრავალი ასეთი. მოკვდება ვინმე, არიქა ქელეხიო დაიძახებენ. მთელი წლის სარჩო—საბადებელს ერთ დღეს შთანთქავენ. შემდეგ რასაკვირველია განიცდიან შიმშილწყურვილს: ბალახით იკვებებიან. ხალხი მამა-პაპის მსგავსათ ცხოვრობს. ხალხის ჩამორჩენას, უვიცობის მოსპობის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს. გაცხოველებული მუშაობა სოფლათ კულტურულის მხრით,—აი ერთი წამალთაგანი ხალხის სიბნელე-სილატაკისაგან თავდახსნისა დიდი ვაივაგლახით ს. პატარა-თონეთის მცხოვრები მოდის გონს და ფიქრობენ ყოფილი კოოპერატივის აღდგენას, რაც ფრიად სასიამოვნოა. უსურვებ მათ ხანგრძლივ ძილისაგან გაღვიძებას.

**მ. ზვანელი.**

---

**ნაესაკოვის საზოგადოება** (სენაკის მაზრა). ნაესაკოვის საზოგადოებაში მდებარე საფონდო ადგილი „ანჯელი“ ძევს მდინარე რიონის და ჯაპანა ნიგოეთის რკინის გზის შუა.

რაოდენობით იგი უდრის დაახლოვებით 4000-დე ქცევას და მთელ სამეგრელოში ითვლება პირველ ხარისხოვან მოსავლიან ადგილათ.

1918 წლის 7 მარტის აგრარული რეფორმის კანონის გამოცემამდე „ანჯელის“ ბატონ-პატრონნი იყვნენ მემამულე დიდიები და კორძაიები. ხოლო ამ კანონის შემდეგ ამ უკანასკნელებმა იქ ყოველივე უფლება დაკარგეს. მუშების უმრავლესობა, რომლებიც ამ ადგილზე იდგნენ სამუშაოდ, იქვე დარჩნენ. ხოლო ისეთებს, რომლებსაც თავისი საკუთარი მიწა-წყალი საკმაოდ გააჩნდა, ჩამოთხოვილ იქნენ სათანადო დაწესებულების მიერ და ნაცვლად დაშვებულ იქნენ სრულიად უადგილ-მამულო ყანის მუშები.

„ანჯელის“ მახლობლად აკრავს ოზურგეთის მაზრის სოფლები; ჯაპანა, ნაგუმბრი, ჭყონაგვარ, აკ ნიგოითი და სხვები. ამ სოფლების საჭიროებისათვის შარშან ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ სენაკიდან შეთანხმებით მიიღო ვარაუდით შვიდასი ქცევა საყანე ადგილი. მაგრამ შარშანდელი მოსავალი სამეგრელოში ხომ ერთიანად განადგურდა და „ანჯელის“ მიდამოებიც რიონის კალაპოტიდან გადმოვარდნამ მიწასთან გაასწორა-გაანადგურა.

წელს სენაკის სამაზრო ეოობის გამგეობის აგრარულ რეფორმათა განყოფილება უკვე შეუდგა საფონდო ადგილების კერძო საკუთრებად დანაწილებას. „ანჯელის“ კითხვასაც ბოლო უნდა მოღებოდა და უნდა გავლებოდა ხაზი ოზურგეთის მაზრის უმიწა-წყლოთა შორის დასანაწილებელ რაოდენობას, ამ ნიადაგზე, როგორც ჩვენ ვიცით. წელს მოხდა ოზურგეთის და სენაკის სამაზრო ერობის წარმომადგენელთა კრება, და იმას რომ თავი გავანებოთ, რომ ოზურგეთის მაზრას სენაკის მაზრის ტერიტორიიდან კიდევ დაეთმო „სირიაჩქონში“, და სუჯუნის ანჯელში ხუთას ქცევამდე საყანედ გამოსადეგი ადგილები ანჯელის შესახებ მდგომარეობა დარჩა თანახმად შარშანდელი ამ მაზრათა შორის დადებულ ორ ხელშეკრულებისა.

ამ ნაირად, ორივე მაზრას საქმე სავსებით დაბოლავებულად მიაჩნდა, მაგრამ სინამდვილეში კი მოხდა სულ სხვა. ყოფილა შემთხვევა, რომ 1919 წლის შეთანხმების ფარგლებიდან ოზურგეთის რამოდენიმე მუშებს გადაულახავთ შეთანხმების საზღვრები და რამოდენიმე ათეული ქცევა ადგილი დაუხნავ-დაუთესიათ და შემდეგ კი, როცა ყანა უკვე დამზადდა მათი იქიდან გადაყვანა ვერ მოუხერხებიათ და დროებით დამმუშავებელთა სახით დარჩენილან იქ.

წელს რამოდენიმეთ კინაღამ გაუგებრობას მიეცა ადგილი. ნაესაკოვის აგრარულმა კომისიამ მოითხოვა, რომ ამ თვითნებობით შარშან შემოჭრილ ოზურგეთის მაზრის მუშებს წელსაც არ დაემუშავებინათ ეს ყანები,

ამ საქმის შესახებ ანჯელში გამოცხადდა სენაკის სამაზრო ერობის რწმუნებული. მას ნაესაკოვ-გულეიკარის მუშებმა განუცხადეს: „თუ არ მიიღებთ ზომებს და არ გადაიყვანთ ჩვენი ფარგლებიდან ამ თვითნებობით შარშან შემოჭრილ გურულ მუშებს, ჩვენ თვითონ მივიღებთ მათ წინააღმდეგ ზომებსო. რწმუნებული იძულებული შეიქნა გამგზავრებულიყო ნიგოითში და იქიდან ტელეფონით დალაპარაკებოდა ოზურგეთს, რის შედეგად ამ სადავო ადგილებზე ნიგოითის და სენაკის მილიციის მიერ შეჩერებულ იქნა ხუთამდე უღელი ხარის მუშაობა. სხვანაირად არც კი შეიძლებოდა. ასე რომ არ მოქცეულიყვენ, შესაძლებელია იქ რაიმე ექსცესები მომხდარიყო“.

მეორე დღეს იქ ჩამოვიდა ოზურგეთის სამაზრო ერობის წარმომადგენელი. მაგრამ მოლაპარაკების დროს სენაკის და ოზურგეთის სამაზრო ერობის რწმუნებულნი ველარ შეთანხმდენ, რისთვისაც დეპეშით გამოიწვიეს მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელი 27 მაისისათვის. ამ დანიშნულ დროს ორივე მაზრის წარმომადგენელნი ჩამოვიდენ სადაო ადგილებში, მაგრამ სამინისტროს რწმუნებული კი არ სჩანდა, ვინაიდან მდგომარეობა საქმის გადადებას არ ითმენდა, თავად გამართეს თათბირი და სასურველ შედეგითაც დაამოლოვეს. ამა წლის სამ მაისის ხელშეკრულების დამატებათ გამოიტანეს დადგენილება, რომლითაც ოზურგეთის მაზრის მუშები დარჩებიან წელსაც იმ საყანეებში, სადაც ფაქტიურათ შარშანაც იდგნენ. ხოლო როცა გაიზომება დეტალურად,—გურიისათვის მიჩენილი ტერიტორია, თუ აღმოჩნდა, რომ იგი მეტია შვიდასი ქცევაზე, ეს ზედმეტი გაიყოფა ორივე მაზრებ შორის თანაბრად.

ამ რიგად ორივე მეზობლებ შორის სადაოდ გამხდარი ადგილ „ანჯელის“ საქმე მშვიდობიანად და მორიგებით მოგვარდა, რაშიც დიდი ენერგია გამოიჩინეს ორივე—სენაკისა და ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობამ და ჩვენ ვფიქრობთ, რომ მომავალში მაინც არ ექნება ყანის მუშებს შორის ასეთი გაუგებრობას და ძალადობას ადგილი.

**იმედი.**

---

**თიანეთის მაზრა.** 21 ივნისს ყაჩაღები, რიცხვით 7 კაცი, თავს დაესხნენ თიანეთიდან მეექვსე ვერსზე კომისარ კალანდაძეს და დასტრეს, მილიციონერს იარაღი აყარეს; 22 ახმეტის გზაზე ყაჩაღები დაესხა თავს მილიციონერებს, რომელთაც მიყავდათ 5 ტუსაღი; 3 ტუსაღი გაიქცა.

22 საღამოს ყაჩაღებმა ცნობილი დავითი არაბულის მეთაურობით შემოვიდნენ დ. თიანეთში თავდასხმის მიზნით, მაგრამ მილიციამ და გვარდიამ ეს დროზე შეუტყეს და იძულებული გახადეს გაქცეულიყვნენ. საჭიროა ყაჩაღების წინაალმდეგ უსასტიკესი ზომების მიღება.

---

**სოფ. საქარა** შედარებით, რამდენადაც ალმშენებლობით პროცესში ვიმყოფებით, კულტურულ—განმანათლებელი მუშაობა ძლიერდება. ამ მხრივ პირველობა ზესტაფონის ერობას აუღია. სოფლებში გაყვანილია ტელეგრაფის ქსელი ჩხარამდე. აგრეთვე გახსნილია ბევრი პირველ დაწყებითი სასწავლებლები. მაგრამ არის ცოტა ნაკლიც, რაც უეჭველია, იმით აიხსნება, რომ ყველაფრის ერთად გაკეთება შეუძლებელია. სოფელში მეტად ცუდათ არის დაყენებული ექიმ-წამლობის საქმე. სამი წლის მოუსავლობით დაზარალებულ და მშიერ გლეხებს აბა სად შეუძლიათ ისე ხელგაშლილათ ფულის გამოღება, როგორც ამას ზესტაფონის ექიმები მოითხოვენ? სოფელში თუ წაიყვანე,—ცხენი უნდა მიართვა და 400—700 მანეთამდე გასამრჯელო, ხოლო ავადმყოფის ჩაყვანას, იქნებ სიკვდილიც მოყვეს. ეს საქმე უნდა როდისმე მოგვარდეს.

სრულიად უყურადღებოთაა აგრეთვე გზების საქმე. ზამთარში სოფლათ მოგზაურობა ტალახის გამო ძლიერ საძნელოა.

გაფაციცებით ადევნებენ ადგილობრივ მცხოვრებლები პოლიტიკურ თუ ეკონომიურ ცხოვრებას თვალ-ყურს. ყველა შეჰხარის ჩვენი მთავრობის და ჯარის გამარჯვებას. გაზეთი თუ დაგინახეს მაშინვე შემოგეხვევიან მოსასმენათ.

სიძვირის და მოუსავლობის გამო გაშიშვლებულთ და შიმშილის კარზე მიმდგართ ენაზე მაინც ჩვენი რესპუბლიკის ბედნიერება აკრავთ—და სწამთ რა იგი, —არავითარ დანაშაულობას ამის შესახებ რესპუბლიკას არ აწერენ. ეს აზრი ტრიალებს ყველა მცხოვრებთა შორის.

მოსავალს წელს კარგი პირი უჩანს. გლეხები ამას დიდი იმედით შეჰყურებენ, მაგრამ ამავე დროს შიშობენ, არ წახდესო.

„გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო“—ნათქვამია,—და აი, ასეთ გაჭირვებას ზოგიერთ გლეხებში წარმოუშვია ეკლესიის თაყვანის ცემის აზრი, რასაც მღვდლები დიდის ენერგიით, ქადაგობით ხელს უწყობენ.

ამ მატყუარა საიქიოს მოციქულების ქიდაგის გამო ზოგ გლეხებს სჯერათ: რომ მოსავალი აღარ მოდის, სეტყვა ხშირია, მიწის ძვრა, დანგრევა, ომი და სხვა,—ეს იმის ბრალია, რომ ღმერთს აღარ ვლოცულობთ, ვითომდა ყოველივე უბედურება მიტომ მოგვდგომია, რომ რჯული დავივიწყეთ.—ამ ნიადაგზე სოფლებში გამოჩეკილა ერთი აზრი, რასაც აშკარაა მღვდლებიც ხელს უწყობენ:—რომ კვირა დღეებს ყველა აუცილებლათ ეკლესიაში დადიოდნენ, პარასკევს მიწის მუშაობა აიკრძალოს, ქალიშვილებმა რაღაც შესაწირი შეკრიბონ ეკლესიისთვის და გადიხადონ შეწირულების დღეობა.

ასეთ ცრუმორწმუნეობას თითქმის არავინ არ უშლის ხელს.

**საქარელი მ.**

## წერილი რედ. მიმართ

ონტოფოს უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო, დაწყებითი სასწავლებლის საბჭო და ამავე სასწავლებლის სამზრუნველო და სააღმშენებლო კომისია უღრმეს მადლობას სწირავს იმ პირთ, ვინც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ორივე სასწავლებლის შენობის ასაგებათ თავიანთი წვლილი. შემომწირველთა სია: ცაბუა ანჯაფარიძის ასულმა 4000 მ., იასონ ნადარეიშვილმა 3000 მ., ტრიფონ ნადარეიშვილმა 2000 მ., ალექსანდრე ფარ. ნადარეიშვილმა 2000 მ., სანდრო ბჟალავამ 2000 მ., ქიჭიკო ურიდიამ 2000 მ., ნიკო მაკალათიამ 2000 მ., მოსე ჟვანიამ 2000 მ., ქვაჩი თაკვარელიამ 2000 მ., ანტონ ნადარეიშვილმა 1500 მ., ბართლომე ბ. ნადარეიშვილმა 1000 მ., არსენ თოფურიამ 1000 მ., იოსე ნადარეიშვილმა 1000 მ., მიხა თაკვარელიამ 1000 მ., ქსენია თოფურიძისამ 1000 მ., ანტონ გიგოს ძე ნადარეიშვილმა 1000 მ., სირმა მღვ. ბესარიონ მეუღლამ 1000 მ., ისიდორე დავითაიამ 1000 მ., რემანოზ ნადარეიშვილმა 1000 მ., სარდიონ გ. ნადარეიშვილმა 1000 მ., მართა გოჩალეიშვილისამ 1000 მ., სოლომონ ნადარეიშვილმა 1000 მ., ალექსანდრე დავითაიამ 1000 მ., ელიზბარ თოფურიამ 1000 მ., აპოლინარიამ მაკალათიამ 1000 მ.. ტერენტი გაჩოლეიშვილმა 1000 მ., ალფესი ურიდიამ 1000 მ., მიტია ავალიანმა 1000 მ., ფაშუ ბჟალავას ასულმა 1000 მ., გენტორ ნადარეიშვილმა 1000 მ., ცაბუ თაკვარელიას ასულმა 500 მ., დუტუ დავითაიამ 500 მ., ელენე დავითაიამ 500 მ., სალომე სურგულაძემ 500 მ., ანეტა პერტენავას ასულმა 500 მ., ლოლა თაკვარელიამ 500 მ., ჰაიკო ურიდიას ასულმა 500 მ., დიმიტრი დავითაიამ 300 მ., კირილე გუჯაბიძემ 300 მ., ქეთევან ნადარეიშვილმა 100 მ. სულ 47.700 მან.

პატივისცემით ონტოფოს დაწყებითი სასწავლებლის გამგე **ბ. ნადარეიშვილი.**

---

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადო მოქალაქე სერგო ტყეშელიაძეს და იმ პირთ, რომლებმაც კეთილ ინებეს და თავიანთი წვლილი არ დაიშურეს გორა-ბერეჟოულის წიგნთსაცავ-სამკითხველოსათვის. სულ 1250 მან. *)

გორა-ბერეჟოულის **სამკითხველოს გამგეობა.**

*) შემომწირველთა სიას უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ **რედ.**

---

**გაზ. „ახალგაზრდა პროლეტარის“ სარედაქციო კოლეგიას.**

გაზეთ „ახალგაზრდა პროლეტარის“ უკანასკნელ ნომერში მოთავსებულია ბ-ნ სტეპან როზინის სტატია—„ამის გამო“, რომელიც მთლად სავსეა ინსინუაციებით, ცილისწამებით და თავხედურ გამოსვლებით საქ. ახალგ. მარქსისტთა ორგანიზაციების წინააღმდეგ. ამ წერილში როზინი, ილანძღება რაც ძალი და ღონე აქვს (ჭეშმარიტათ „კომუნისტურათ“) ბრალსა სდებს ახალ მარქსის. ორგანიზ. განსაკუთრებულ რაზმთან მჭიდრო თანამშრომლობაში. ამის დასამტკიცებლათ ავტორი იხსენიებს „ამ საკითის შესახებ მნიშვნელოვან მასალებს“, რომლებიც თითქოს ინახებიან კომუნ. ახალ. ც. კ.-ში. ახალგაზრდა მარქსისტებსვე აწერს ავტორი აქტიურ მონაწილეობას პირველ მაისის დღეს „კომუნისტების ცემაში“. შეპყრობილი განდიდების მანიით ან მომქმედი ტრაბახა პოლიტიკური ბალღის **თავმოყვარეობა,** ბ-ნი როზინი გვაბრალებს ჩვენს განკარგულებას გენერალ-გუბერნატორისა იმის გაგზავნის შესახებ, და საზოგადოთ სტილი მთელი სტატიისა არის სტილი მართლაც თანამედროვე წესწობილების მწერლუკისა, რომელიც ოსტატია ყოველივე პროვოკაციის და ცილისწამების შეთხზვის საქმეში.

საქ. ახალგაზ. მარქსისტთა ორგანიზაციების ცენტრ. კომიტეტი, უარყოფს რა ყველა ამ ბრალდებებს, როგორც ბოროტ ცილისწამებას და მიაჩნია რა თავის ღირსების დამამცირებლათ კამათი ბ-ნ როზინთან, წინადადებას აძლევს „ახალგაზრდა პროლეტარის“ სარედაქციო კოლეგიას ერთი კვირის განმავლობაში გამოაქვეყნოს ყველა „მნიშვნელოვანი“ მასალები და ფაქტები, რომლებზედაც არის ლაპარაკი სტატიაში; ამით ჩვენც მოგვეცემა საშუალება გადავდგათ სათანადო ნაბიჯი.

**საქ. ახალ. მარქ. ორგ. ცენტრ. კომიტეტი.**

## ჩვენი ფოსტა

ამხ. **სევერიანე ედიბერიძეს**—(რკინის გზელს): გთხოვთ დაჩქარებით შემოიაროთ საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კ—ტში.


## განცხადებანი

**დამაარსებელი და გამგე ყოფილი სრულუფლებიანი**

### გიმნაზიის

ი. მ. მაჩაიძე იღებს მოწაფეებს სექტემბრისთვის მოსამზადებლად: 1, 2, 3, 5, 6, 7 კლ. შესასვლელად გიმნაზიაში, რეალურ-კომერციულ, უ. პ. დ. სამიწისზომო, სამხედრო და სატეხნიკო-სასწავლებელში, აგრეთვე განმეორებითი „გამოცდებზ„: მათემატიკაში, ენებში და სხვა საგნებში. მისამართი: 9—11 ს. 4—6 ს. პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქ. № 5) ერთი მოწაფე მიიღება სრული „პანსიონით“.

(2021 8—5)

### ჭანიშვილი არჩილი მიხეილის ძე

გიმნაზისტი, 18 წლის, მარჯვენა ხელზე ორი თითი აკლია, გავიდა სახლიდგან 9 აპრილს ა. წ. და აქამდის არ დაბრუნებულა, თუ ვინმემ იცის მისი ყოფნის ადგილი, გთხოვთ გვაცნობოთ—გოგოლევის ქუჩა, № 64, ი. ბ. თოდუა.

(2055—3—3)

### იყიდება საკერავი მანქანა-შკაფი

**ზინგერის სისტემისა.**

პეტრედიდის ქუჩა № 18 მეორე სართული, ბინა № 6.

**დოქტორი**

### გ. გ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1790—თ.)

### ექიმი ივ. გოკერია

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141; სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ. ქირურგ., ქალის სნეულებანი და სააკუშერო. 1—2 ს. და 5—6 საათამდე. ტელეფონი 5—97.

(1835—თ.)

### ექიმი ა. დ. კეკელია

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 4—6 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

1838 -თ.

**ექიმი**

### ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ნდისკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3 მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ 6 ნახ. საათამდე.

(1555—თ.)

**ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ჰოსპიტალი—ექიმი**

### ი. გ. ქუთათელაძე

იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავათმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის (ქოთაოს) საპს ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიით ცხვრის სასულე—მილის ავათმყოფობას ვექიმობ Neimann-ის და Vessel-ის მეთოდებით. ყოველ დღე 3—6 საათ. ბელინსკის ქ. № 39, ბინა 2.

(2010—15—1)

### ექიმი ზ. უ. ალასოვი

სპეციალურად ქირურგიულ [illegible] ბას, მიღება დილით; 2—3 საათ. [illegible] ღამოს 5—7 ს. ელისაბედის ქ. № 112, (ქსენიევის ქ. ახლო) ტელ. № 2.

1951—თ.

**ექიმი**

### გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.

(1741—თ.)

**ექიმი**

### დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 8—9 ს. დილის და საღამოს 4—6 ს—დის მისამართი: მიხეილის პროსპექტი № 64 (საავადმყოფოს ახლო). ტელეფონი 14—60.

(1808—თ.)

**ექიმი**

### გ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, სოლოლაკი)

### ექიმი მ. ა. შაფრანი

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამათი ოლღას ქ. № 33.

(1288 25—4)

**ექიმი**

### ნ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ქალურ, საბებიო და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე პარასკევს გარდა შუადღის 1—2 და საღ, 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13.

(1773—თ.)

**ექიმი**

### ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებიანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3, ტელეფონი 12—46.

(1518—თ.)

### ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

(1255 48—6)

**ექიმი**

### პ. გ. ვართანოვი

სპეციალურად კანასა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ.

(1700—თ.)

**ექიმი**

### სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი

(ქუთაისიდან)

იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5.

(1742—თ.)

**ექიმი**

### ე. გ. მძინარიშვილი

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი: მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. საკუთარ სამკურნალოში. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კიროჩნი ქუჩ. №22 ტელ. 10—87.

(1638 თ.)

**ექიმი**

### ნ. მ. გაჩეჩილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავათმყოფებს იღებს დილის 8—10, საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.

(უ. 25—3)

### გიმნაზიის მასწავლებელი ს. გძელიშვილი

**ამ ზაფხულს რჩება თფილისში**

და ღებულობს გაკვეთილებს ყველა მათემატიკის საგნებში (არითმეტიკა, ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, ფიზიკა, კოსმოგრაფია). ნიკოლოზის და ნეკრასოვის ქუჩ. 11—1 საათ. ყოველ დღე.

(2077 1—1)

### აგურის ქარხანა გოფმანის ღუმელით

რომელიც იმყოფება 7 სამილიციო უბანში, რკ. გზ. ლიანდაგის გადაღმა, არსენალის ახლოს, საკუთარ მიწაზე ყოველნაირ იარაღებით და მოწყობილობით

### იყიდება

ქარხანასთან არის ორ სართულიანი სახლი, იქვე ბინა 4 ოთახით, სამზარეულოთი. ფასები იკითხეთ: ქარხნის პატრონთან, დიდი მთავრის ქ. № 79, ბინა 1. დილის. 8—11 ს. და საღ. 5—7 ს.

(2075 2—1)

### ცეკვის სკოლა ი. ა. როზენბერგისა

**27 წ. არსებობს. 27 წ. არსებობს.**

დაიწყო ზაფხულის სეზონი 29 ივნისიდან. სპეციალურად აზიური, ევროპიული და საბალეტო ცეკვისა. კარგათ სწავლებისათვის ვიძლევი სრულ გარანტიას. მიიღება ბავშვები 5 წლიდან დაწყებული. საერთო ცეკვა: კვირაობით სამშაბათობით და პარასკეობით საღ. $7^1/_2$ ს. 10 საათ. მიღება ყოველ დღე: დილის 10 ს. საღ. 7 ს. მიხეილის პრ. № 105. სასტუმრო „ვეტცელის გვერდით.

(2066 2—2)

### სახაზინო რკინის გზების

სამოსწავლო განყოფილებას ესაჭიროება

### ორი გამოცდილი ფრებელიჩკები

საბავშვო ბაღნარებისთვის ხელმძღვანელად ხაშურში და სამტრედიაში. იკითხეთ: მუშტაიდის და ელისაბედის ქ. კუთხე, № 200, ქართული ენის ცოდნა საჭიროა.

(2045 3—2)